

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდური სიფყვას, ცყვილებით და ჭაბრით ბუდის გაფანა ყულა უკადრისდაზე უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

პარასკევი, 5 ივლისი, 2013 წელი.

№125 (7252)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

...და როდესაც ბარში პარღნი ყვარდნენ...

რატომ და რამდენად საფუძვლიანად არის „უფუფოთავული“ გაქმ-თბილისი-ყარსის რკინიგზის მუხანაგოების გედიტ სააკაშვილი, რომელის გუმიდლაგდე პრეზიდენტობის თუნდაც კიდეც ზადეგვი

„იმისთვის, რომ აქ იყოს მშვიდობა, განვითარება და ქართული სახელმწიფოს გაძლიერება გაგრძელდეს, უნდა სასწრაფოდ გაგრძელდეს ამ რკინიგზის მშენებლობა. რატოა ახლა ეს გაყინული, რატო არ მუშაობს აქ ექსკავატორები. როდესმე გინახავთ, როცა ადრე მე მივსულიყავი მშენებლობაზე და იქ არ იყოს შესული მუშახელი და დღევ და ღამევ არ მიდიოდეს აქ მუშაობა? რატოა ეს გაჩერებული?“

მიხეილ სააკაშვილი

როსი დღით გახანგრძლივების უსაკლავლოგას იყო კვილაბით ჩაბლაუჭავული?

6-7

„პრეზიდენტი ამბობს, რომ, თურმე რკინიგზის მშენებლობა შევარჩერთ. არადა, პირიქითაა. თუ ნახავთ ახლა, ახალი მენეჯმენტის პირობებში, ვინც ჩვენ დავნიშნეთ იქ, მაქსიმალური მობილიზებაა ტექნიკის და უფრო დიდი ტემპებით გრძელდება რკინიგზის მშენებლობა. მე არ ვაპირებ, დეტალურად ვუპასუხო მას. თუ ნახავთ, იქ ამდენი ტექნიკა არასოდეს არ ყოფილა მობილიზებული. გააქტიურდა და დაჩქარდა პროცესები, მშენებლობის ტემპები“.

პიპინა ივანიშვილი

მიუხედავად 96

საათი

3

ეპიკტე: სახელმწიფო გადატრიალება

ეპიკტეში დაამხს პრთი წლის წინათ პრჩულ პრეზიდენტ ნურსის ხელისუფლება. ახალი პრეზიდენტის პრჩენებაგდე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის მოვალეობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავეჯლოგდე უმარულაბს.



პაპანაქება სიხხეში ამ თევზს რა გაჭევეთ, გატონო!..

„ღონ გურამსა“ და მის თანამოზრახველს კადრების ფალსიფიცირებისთვის დაიჭერენ

4



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

კვირში ცხრა პარასკევი

ორშაბათი შაბათია, სამშაბათი შაბათია...

მიშა მალალოს კვირაში რომ ცხრა პარასკევი აქვს, ეს უკვე ცხრა წელიწადია ვიცით და არ გვიკვირს. კონსტიტუციასა და კანონებს თავის ნებაზე რომ ჭრის და კერავს, არც ესაა ახალი. ბოლო დროს კი ძაან გაუზურა... ისე გაუზურა, რომ თავისი ერთგული გუნდის წევრები და პოლიტიკურ საფლავში ჩამყოლი ერთი მუჭა ნაცებიც გააოცა და თავისი პირით ააღაღადა მათგანია — „დავიბნითო“.

ვერ გეტყვი, მიშას იმ თორმეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა შეეშინდა, პოლიტიკოსებისა, უცხოელი მამამარჩენალებისა თუ ხალხის, რომლებიც ამის წინააღმდეგ წავიდნენ, მაგრამ ფაქტია. თავისი ნებით თუ ზეწოლით მიღებული მესამე გადწყვეტილება ბარნოვის ბაგეებით აუწყა ხალხს.

მიშას აჩრდილო იხტიბარი არ გაიტეხა და დაამატა კიდევ — არ იყო აუცილებელი, რომ ეს თემა გამხდარიყო მწვევ პოლიტიკურ განხილვის საგანი, თუმცა, ზოგმა პოლიტიკურმა ძალამ სპეციალურად გამწვავა. მოგვიანებით ნაცების ერთ-ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა შოთა მალაშვიამ, რომელსაც ხალხმა იმ სამი ნაცკანდიდატის ელექტროენერჯის გადასახადზე მიბმული ნაგვის გადასახადი დაარქვა, თავისი კონტაპრუნული გამოსვლით განაცხადა — არაფერს არ წვევტდა ეს ოთხი დღე არჩევნებისთვისო, მაგრამ გავითვალისწინეთო. ისე მალაშვიას მინდა ვუთხრა — შე კაი დედამამიშვილო, მერია-საკრებულოს მალაქინოსნების დაკავებაზე რომ ატეხეთ ერთი ამბავი, დასაჭერი

ხალხი კარგად არ დაიჭირეთ და კანონის დარღვევით დააკავეთო და მთელ მსოფლიოს მოსდო ეს ამბავი, კონსტიტუციის დარღვევა და ხალხის თვალში ნაცრის შეყრა აღარ არის კანონის დარღვევა?

პრეზიდენტი ხომ გაჰკიოდა, პრემიერმა კანონები არ იცისო, ხომ სცოდნია, მალაშვია-ბატონო?!

იქნებ კანონის დარღვევად არ მიგაჩნიათ ემიგრანტებისთვის (რომლებიც ამომრჩევლების 40 პროცენტს შეადგენს) ხმების წართმევა?!

მოკლედ, ვუსმენ მიშას და ერთი კარგი ქართველი ებრაელის კაკული გურიელაშვილის სიმღერა მახსენდება „ორშაბათი შაბათია, სამშაბათი შაბათია, ოთხშაბათი შაბათია...“ ჩვენი პრეზიდენტისთვის, როცა სურს, კვირის ყოველი დღე კვირაა.

ასე რომ, ბატონო მალალო, კიდევ ბევრჯერ ჩაგივარდება კოვში ნაცარში გადაარჩევამდე. მერე, მერე კი ქრისტე ღმერთიც ვერ გიშველის. ასეა, ეს.

მამუკა ვაშაკიძე

დავით ნარკიელა ნასმობროვა დაბოვა



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთმა წევრმა დავით ნარკიელამ დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, აღნიშნულთან დაკავშირებით წერეთლის ოფიციალური განცხადება უკვე შევიდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“.

დავით ნარკიელი ამავდროულად თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეც არის.

კანონთა კანონი

პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა იწყება. იენისში, პარლამენტში ინიცირებულ სამ საკონსტიტუციო პროექტს საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისია დღეს ჯერ მედასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად განხილავს, შემდეგ კი განხილვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაგრძელდება. ივლისის თვეში ინიცირდება საჯარო განხილვის დაიქმნება, ეს პროცესი თბილისის გარდა, რეგიონებშიც გაიხრება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ცვლილებებზე პარლამენტი მსჯელობას.

ერთ-ერთი საკონსტიტუციო პროექტით, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების უფლება ეძლევათ. კერძოდ, პროექტის თანახმად, კონსტიტუციიდან ის მუხლი ამოღდება, რომელიც ამბობს, რომ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

რეპლიკა

თანამედროვე ჰაკი აქბები?! ანუ გავუშვათ. გზას იქით ჰქონიათ!

ბუშინ ტელევიზიამ გვამცნო, რომ სახელმწიფო აუდიტის პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შეისწავლა ნაციონალური მიწის საბიუჯეტო სახსრების მითვისებისა და თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების ფაქტი და მოკვლეული მასალების პროკურატურისთვის გადაცემას აპირებს.

თუმცა, ამჟამად კალამი ამ ფაქტში ჩაღრმავების კი არა, მასთან დაკავშირებით ნაცნობი წყარო (უკაცრავად, შემეშალა) ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი „სახსი“ — დავით დარჩიაშვილის კომენტარმა ამადღებინა:

„მე მგონია, ადამიანების დასაქმება ისეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, და ბუნებრივია, რომ ცხრა წლის მანძილზე რაღაც სასწაული ვერ მოხდებოდა და არაფრისგან უცებ რაღაცა იდეალური ვითარება, სადაც დასაქმების პროგრამა იქნება დასაქმების პროგრამა... ვერ მოხდებოდა...“

როგორ მოგწონს, მკითხველო? ნაციონალური ელიტურ წარმომადგენელთა, ყველაზე რბილად თუ ვიტყვი, დემოკრატიის უკეთესი დამადასტურებელი და „მალუსტრირებელი“ რამე იქნება?

ცხრა წლის მანძილზე სასწაული ვერ მოხდებოდა თუნდაც დასაქმების კუთხითო!

თუ ასეა, სულ რაღაც 5-6 თვეში რად ითხოვთ დასაქმების მხრივ არსებული მართლაც არასახარბიელო ვითარებას რადიკალურად და სასიკეთოდ შეცვლას „ქართული ოცნებისგან“?

თუმცა, 5-6 თვე კი არა, თქვენ არ იყავით, ახალარჩეული პარლამენტის პირველსავე სხდომაზე, ჯერაც დაუმტკიცებელ მთავრობას ერთი „გნაცმოდრობელი“ დეპუტატის ენა-პირით რომ უტყვევდით, — რად არ შეეასრულეთ წინასაარჩევნო დანაპირები და რატომ არ დაუხანთ გლენობას მინის ნაკვეთები უფასოდო?

მართლაც, არც ოდესმე ჰქონია და არც აქვს თქვენს უტიფრობა-უნამუსობა-დემოკრატიურობას საზღვარი.

ამიტომაც გამოვიგონე ძალიან ლაკონურად თქვენს დასახსიათებლად აბრევიატურა — თანხმობა-ნადავსი, ანუ თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომი. სწორედ ამგვარი სინდრომებიანები ხართ.

არა, იმას კი არ ვამტკიცებ, რომ წინასაარჩევნო დანაპირებს შესრულება არ უნდა. პირიქით, უთუოდ უნდა შესრულდეს, მაგრამ ყველაფერს ხომ დრო უნდა? თუ არ მეთანხმებით, დეპუტებ-

ში გინვეთ, ოღონდ იმ პირობით, რომ, რაკი ცხელა, ეს დეპუტები სოხუმში გავმართოთ, ჩვენგან დროებით ჩამოტოლებული იმ აფხაზეთის დედაქალაქში, რუმბოლი აფხაზეთის აბრეშუბასაც



თავისი მიწა პრეზიდენტობის ვადის განმავლობაში აბრეშუბაში და თქვენი ბილბორდი პირუშტპიცისი საბაპაშვილი!

ახლა კი ერთი ამონარიდი იმ შესანიშნავი წინარეზიუმებიდან, რომელმაც მიკარნახა ამ რეპლიკის სათაური.

გვესმებათ, მკითხველო, ლეო ქიჩელის „ჰაკი აქბას“ ფინალი, როდესაც ჰაკი, რომელმაც დაი-

თქმაც, რას ვმარჩიელობთ და თავს რად ვიმტრევეთ ამ თანამედროვე ჰაკი აქბების საქციელისა თუ უსაქციელობის განსაზღვრა-შეფასებისთვის?

„კუჭმა მრისხანესი“ არ იყოს, ნუ დავაკავებთ, გავუშვათ, გზაც იქით ჰქონიათ!

ოღონდ ერთი რამ კი მივაძახოთ მათ, სააკაშვილის პოლიტიკური სამარისკენ გადაქანებული: აბიჯირატი, სინდისი მინც კარბი სამონელია!

რუსლან რუსია

ივლისის თვე საკონსტიტუციო პროექტების საჯარო განხილვას დაეთმობა

მეორე საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონსტიტუციის ფარგლებში მმართველი გუნდი პრემიერ-მინისტრისთვის იმ უფლებამოსილების ჩამოართმევას გეგმავს, რომელიც მას შემაძლებლობას აძლევს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება მთავრობის ნდობის საკითხს „ში-აბას“. აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა ძალაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შედის, პარლამენტში ინიცირებული პროექტი კი, კონსტიტუციიდან მის ამოღებას ითვალისწინებს.

ამავე პროექტის გათვალისწინებით, კონსტიტუციაში რჩება პრეზიდენტის ვალდებულება, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის ხუთი წევრით განახლების შემთხვევაში, პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენ-

ლობა წარუდგინოს. ეს ის ნორმაა, რომელიც ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კონსტიტუციაში აღარ იარსებებდა. ამავე ცვლილების გათვალისწინებით, მმართველი უმრავლესობა გამოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ინიციატივით, რომლის თანახმად, თუ პარლამენტი ბიუჯეტს დროულად ახალი საბიუჯეტო წლის



დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში ვერ მიიღებს, ეს უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად ჩაითვლება, ხოლო თუ ასეთ შემთხვევაში, პარლამენტი კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ახალ მთავრობას ვერ შექმნის, პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რეგარეშე არჩევნებს დანიშნავს.

ამ საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით, მმართველი გუნდი რეგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თავს იზღვევს და კონსტიტუციაში ცვლილებები ამ მიმართულებითაც შეაქვს. კერძოდ, დღეს კონსტიტუცია ამბობს, რომ 2010 წელს მიღებული კონსტიტუციური ნორმები 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან უნდა ამოქმედდეს. ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტით, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებიდან სიტყვები

„მორიგი“ და „ოქტომბერი“ ამოღდება და ჩნდება ჩანაწერი „2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, კონსტიტუციაში შესული ცვლილებების ძალაში შესვლის ხელს ვერ შეუშლის.

რაც შეეხება მესამე საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, ის კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭირო კვორუმს ეხება. მმართველი უმრავლესობა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის 3/4-იან კვორუმს აუქმებს, რომლის შესაბამისი მუხლიც ასევე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდესო.

საყოველთაო-საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. უმრავლესობის წარმომადგენლების ვარაუდით, ცვლილებების შეტანის დასაწყისში მიიღებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი კოალიციას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს და ამ საქმეში მათ უმცირესობის მხარდაჭერა სჭირდება.

ინტერპრესი

უკანასკნელი დღეების მისტერია

ცნობილი გამოჩენილია, რომ ადამიანი სტილია, ხოლო სტილი - ადამიანი. ფრანგი ბუნებისმეტყველის ჟორჟ ლეკლერკ ბუნების ეს გენიალური ფრაზა ორგანოს ქეშმარიტია, როცა საქმე პოლიტიკოსს ეხება.

ვინც იცნობს მიშას, ან მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, აკვირდება თუნდაც იმ მომენტიდან, როდესაც ხარბად შესვა შევარდნაძის ჩაი პარლამენტის ტრიბუნაზე, დარწმუნებული იქნებოდა, რომ იგი იოლად და უხმაუროდ არ წავიდოდა პოლიტიკური სცენიდან. და რაღაცაში მაინც გამოამყვანებდა თავის სტილს, ანუ საკუთარ არსსა და იდენტობას.

როდესაც საქმე სტილს ეხება, იქ ლოგიკური კითხვები უაზრობად იქცევა: რა დანიშნულება აქონდა არჩევნების თარიღის შეცვლას პირველად ან მეორედ? ეს კითხვა მხოლოდ იმან შეიძლება დასვას, ვინც თავად არ შეხერხებდა სხვის ჩაის, რათა ძალაუფლების ფანტიკური წყურვილი დაეოკებინა. თორემ ჩვენი პრეზიდენტის შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია: როდესაც, ჯერ კიდევ 2003 წელს, ზოგიერთი „აბეზარი“ ამბობდა, მიშას იმპულსურობამ თავდაპირველად შეიძლება კიდევ მოიტანოს შედეგი (მაგალითად, აჭარაში), მაგრამ საბოლოოდ კატასტროფას მოასწავებსო, ცოტა თუ ისმენდა. მათ შორის დღევანდელ „მეოცნებეთა“ იდეოლოგნი.

ძნელი დასაჯერებელია, მანანა მანჯგალაძეს შემოლოდა, ანუ ნაცვლად „თვის ბოლო დღისა“, „თვის ბოლო კვირა“ ამოვიკითხა: საკმაოდ ჭკვიანი და დაკვირვებული ქალბატონია. ყოველ შემთხვევაში, კითხვა არასდროს ეშლებოდა. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ანდრო ბარნოვის ბრიფინგი მას შემდეგ შედგა, რაც მიშამ დამოკლეს მახვილით გადაჭრა პრეზიდენტის კარზე იურისტ-ექსპერტთა ორი ჯგუფის პაექრობა, ერთნი ეუბნებოდნენ: მოქმედი კანონმდებლობით, არჩევნები მხოლოდ უქმედს შეიძლება გაიმართოს, თანაც მხოლოდ შაბათს ან კვირასო. ასეთ შემთხვევაში კი „ბოლო



კვირა“ 27 ოქტომბერია, ხოლო მეორენი ამბობდნენ იმას, რაც მიშას უნდოდა მოესმინა: „ბოლო დღესაც შეიძლება!“ პრეზიდენტიც სწორედ მათ მიემხრო. დეკემბერში არ გამოდიოდა, თორემ 31 დეკემბერს დანიშნავდა არჩევნებს.

სანამ პრეზიდენტი თარიღს კიდევ ერთხელ შეცვლიდა, უამრავი მოსაზრება გამოითქვა: რაში დასჭირდა მას ეს ყოველივე და რა მიშენელობა აქვს, „ბოლოს და ბოლოს“, იმ ოთხ დღეს? რატომ არის ეს 96 საათი მისთვის ესოდენ საკრალური? რა ვერსია არ გაუღერდა, რა არ დაინერა. მათ შორის ერთადერთი ანგარიშგასანევი ვერსიაა ვილნიუსის სამიტზე დასწრების სურვილი პრეზიდენტის რანგში. თუ ახალი პრეზიდენტის არჩევას მეორე ტური დასჭირდა (შეიძლება კიდევ დასჭირდეს, რაკი პრემიერი ივანიშვილი აგრძელებს აბსოლუტურად გაუგებარი განცხადებუ-

ბის გახმობას საკუთარ წასვლა-არწასვლასთან დაკავშირებით), მაშინ ის რამდენიმე დღე მართლაც იძენს მნიშვნელობას.

ევროკავშირის სამიტი, რომელზეც საქართველომ, შესაძლოა, ნანატრი „ასოციაცია“ მიიღოს, ნოემბრის ბოლოს იმართება. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე კი ქვეყანას ისევ მიშა წარმოადგენს. ევროპული ტრადიციის შესაბამისად, თითქმის გამორიცხულია ევროპელებმა პრემიერ-მინისტრი მიიწვიონ და არა პრეზიდენტი. მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც ვანო მერაბიშვილს პირველად უნოდეს „პოლიტპატიმარი“.

თუმცა, ამ ვერსიას ის ნაკლი აქვს, რომ პირველიდან მეორე ტურამდე ფორმალურად ორი კვირაა და ოთხ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ეს 96 საათი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის

არა პრაქტიკულად, არამედ ფსიქოლოგიურად და სიმბოლურადაა მნიშვნელოვანი: „უკანასკნელ დღეს“ წასვლით, ვადის ბოლომდე „ამონურვით“, იგი მთელ ქვეყანას ეუბნებოდა (ცდილობდა ეთქვა), რომ არ მიაჩნია თავი დამარცხებულად! და რომ არაფერს ნანობს, რაც 10 წლის განმავლობაში გააკეთა; არ თვლის, რომ რაიმესთვის ბოდიში აქვს მოსახდელი ან მოსანანიებელი - მათ შორის 2008 წლის აგვისტოსთვის; და რომ მტკიცედ სჯერა: ისტორიაში საბოლოოდ მაინც დადებითი ფიგურად შევა.

ეს არის „ვარდების რევოლუციის სინდრომი“, - ის დაუფინყარი მომენტი, როდესაც CNN-ი პირდაპირ ეთერში გადასცემდა ძველი პარლამენტის კიბეებიდან მოზეიმე ხალხის წიაღში ჩასული ლიდერის თავისუფალ და ამაყ ცურვას მასაში. ეს ხომ ერთადერთია, რაც მას დარჩება ჯერ კიდევ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში: განა რა არის 46 წელი, მით უმეტეს მისთვის?

ოლონდ ისტორია სასტიკია. ისევე, როგორ პოლიტიკა. მათი ყველაზე დიდი სისასტიკე ისაა, როდესაც წამსვლელ პოლიტიკოსს უკანასკნელ „სათქმელსაც“ აღარ უტოვებენ: არჩევნების თარიღის კიდევ ერთხელ შეცვლას ასევე სჯობდა, მიშას თავდაპირველი გადაწყვეტილება დაეთოვებინა ძალაში; ასევე სჯობდა - 31 ოქტომბერი დაეუბნებინა. მაგრამ ის, რაც ახლა მოხდა, სრული კომარია და რაღაცით უკვე „გორის“ ტრეგიკულ ეპიზოდს ემსგავსება. ამაზე დიდ საშინელებას ვერაფერი მიაწყველიდა - თვით თავგადაკლული მოქალაქე კი.

„საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის საარჩევნო ვითარების შექმნა“ მხოლოდ საბაბად თუ გამოდგება. „უკანასკნელ დღეთა მისტერიის“ რაციონალური ახსნა სრულიად ფუჭია, ისევე, როგორც ნებისმიერი ლოგიკური მსჯელობა, როდესაც საქმე შექსპირულ ვნებათა მძვინვარებას ეხება.

იხილეთ ბანაძე, 40-408-460

მსხვერპლის აზრი



ალექსანდრე თვალჭრელიძე: პრემიერის ოპტიმიზმი აბსოლუტურად საფუძვლიანია!

ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ავტორი მონაწილეობა სურს

საბჭონაო პოლიტიკის აქტუალურ თემებსა და პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციაზე „ინტერპრესნიუსმა“ შთაბეჭდილებების გაზიარება საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსსა და ექსპერტთა კლუბის წევრს ალექსანდრე თვალჭრელიძეს სთხოვა.

— ბატონო ალექსანდრე, პრემიერ-მინისტრი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მედიას მესუთედ შეხვდა. პრესკონფერენციაზე პრემიერს მრავალ კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა, მაგრამ ვიდრე რომელიმე მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხების განხილვაზე გადავალთ, თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე პრემიერის ბრიფინგზე გაკეთებულმა განცხადებებმა? — ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მეც დაახლოებით ისეთივე შეფასება მაქვს, როგორც — პრემიერ-მინისტრს. მეტიც, უკანასკნელ ბრიფინგზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის გახლავთ ადამიანი, რომელსაც მართლა უნდა ქვეყანაში დემოკრატია და, შესაბამისად, სხვაგვარ შეფასებებს ვერ გააკეთებდა. მე მისი შეფასებები

ზოგადად მომეწონა. მიმანია, რო ღრმად და სწორად მოაზროვნე ადამიანია. პირადად მე ის მომწონს, რომ ივანიშვილი მართლაც ქმნის ქვეყანაში პლატფორმას იმისთვის, რომ საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიული წყობილება დაფუძნდეს. ის მოსამართლეთა კონფერენციას აქვს არა იმიტომ, რომ მოსამართლეთა არჩევნების შედეგებით კმაყოფილია, არამედ იმიტომ, რომ მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარება სახელმწიფოს წინის გარეშე მოახერხეს. მას მოსწონს პროცესი და არა — მისი შედეგი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ამ პროცესს აქვს. თუმცა, შედეგით უკმაყოფილოა. ჩემი აზრით, ეს ქეშმარიტი დემოკრატის პოზიციაა. — დაახლოებით ასეთი კონტექს-

ტი ხომ არ იყო იმის თქმა, რომ ყველაფერი დალაგდება, დაინშინდება, მაგრამ როგორ, ბატონო ალექსანდრე?

— არა მგონია, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება ამგვარ აზრს შეიცავდა. ჩემი აზრით, იგი აცხადებს, რომ ხელისუფლება არ ჩქარობს, მაგრამ ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო განცხადება, რომ ხელისუფლება წლის ბოლომდე 100 ბიზნესის დაფინანსებას შეძლებს. საუბარია ეკონომიკაში ასეული მილიონის თანხების ჩადებაზე. მე მეჩვენება, რომ ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლა მას ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის ხელს გაუხსნის. ახლა მას კანონი უკრძალავს ინვესტიციების განხორციელებას, ხოლო, როცა იქნება სამოქალაქო სექტორში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რეალური ეკონომიკის განვითარებაში.

— პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მას შემდეგ გახდა, რაც მან თავისი მოსაზრება ეს-

ტონურ გაზეთს განუცხადა. ამ თემაზე კომენტარები პრესკონფერენციაზეც გააკეთა. თქვენი ვერსიით, რატომ დაიწყო საუბარი პრემიერმა მისი პოლიტიკიდან წასვლის შესახებ?

— პოლიტიკიდან სავარაუდო წასვლის თაობაზე მან მაშინვე განაცხადა, როცა პოლიტიკაში ფეხი შედგა და ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. მან თავიდანვე თქვა, რომ პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას არ აპირებს, რომ შექმნის შეუქცევად გარემოს იმიტომ, რომ საქართველოში ძალადობა არ განემოხდეს, რომ საქართველოში დემოკრატია გაიმარჯვოს. ასე რომ, ივანიშვილი თავისი განცხადების ერთგული რჩება და თავისივე სიტყვებით უკან არ მიაქვს. აშკარაა, რომ ივანიშვილი ძალაუფლების ცდუნებით დამტკბარი არ არის. მეჩვენება, რომ ეს ძალიან კარგია. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც ხომ უნდა გვექნდეს ჩვენ მაგალითი იმისა, თუ როგორ მიდის ადამიანი საკუთარი ნებით პოლიტიკიდან და არა იმიტომ, რომ მას აგდებენ, კლავენ, ანაც ვადა ეწურება.

— ძნელია იმის თქმა, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში რა პროცესები განვითარდება პოლიტიკაში, მაგრამ ჯერ გაურკვეველი რჩება, სამოქალაქო სექტორში გადასვლების შემდეგ რომელი იდეოლოგიისა თუ მიმართულების პოლიტიკური და ინტერესჯგუფების გაძლიერებას აპირებს პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი, მაგრამ ამ თემაზე თქვენი ვარაუდი როგორი შეიძლება იყოს?

— მეჩვენება, რომ ამ თვალსაზრისით, ივანიშვილმა საკუთარი აზრი დააფიქსირა.

იხ. 5 გვ.

ალიან-ჩალიანი

73-ე ალბილზე გლობალური ინოვაციის ინდექსით

2013 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსით საქართველომ 73-ე ადგილი დაიკავა და წინა წელთან შედარებით პროზიციანი საფეხურით გაიზარდა. მონაცემებით, რომელსაც კორნელის უნივერსიტეტი, ბიზნეს სკოლა INSEAD და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია აქვეყნებენ, საქართველო რეგიონში მეორეა, ჩამორჩება სომხეთს, რომელიც 59-ე ადგილზეა, თუმცა, უსწრებს 105-ე ადგილზე მყოფ აზერბაიჯანს.

გლობალური ინოვაციის ინდექსი შეიქმნა კომპონენტის მოიცავს — ინსტიტუციები, ადამიანიური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარება, ბიზნესის განვითარება, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითი შედეგები.

2013 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსში, წინა წლის მსგავსად, პირველი ადგილი შეინარჩუნა შვეიცარიამ, მეორე ადგილზეა შვედეთი, მესამეზე — ნიდერლანდები, მეოთხეზე კი — აშშ. ინდექსში მსოფლიოს 142 ქვეყანა მოხვდა.



ამ კაცის პარპაუს ბოლო უნდა მოელოს

2004 წლის 23 ნოემბერს, დიდუბის ეკლესიასთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ერთ-ერთმა პატრულის თანამშრომელმა გიორგი ბაშალაშვილმა ახალგაზრდა დუტა რობაქიძე მოკლა. იგი გაასამართლეს გაუფრთხილებლობის მუხლით, მანამდე კი შსს-მ თავისი რუპორის, პრესცენტრის ხელმძღვანელის გურამ დონაძის პირით საზოგადოებას ტელეეფერებით ამცნო, რომ მანქანაში, რომელშიც გარდაცვლილი იჯდა, იყვნენ შეიარაღებული პირები, რასაც დაერთო იარაღის ამსახველი კადრები.

დღეს დალუპულის ოჯახსა და სახელმწიფო ბრალდებას დონაძის მიმართ პრეტენზიები სწორედ წარმოჩენილი იარაღის ადგილზე მითანის, მანქანაში მსხდომთა დანაშაულებრივ ჯგუფად წარდგენისა და მოკლულის დადანაშაულებისთვის მტკიცებულებების ფალსიფიკაციის გამო აქვთ.

ძველი ხელისუფლების პირობებში უმაღლესი ეშელონების საქმის გამოძიების დროში განელებით ყოველმხრივ ცდილობდნენ საქმის მიჩუმათებას. მაგრამ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სხვა მრავალ საქმესთან ერთად ეს დანაშაულიც აქტუალური გახდა. გამოძიება ხელახლა დაიწყო. მაშინ, თავის გადარჩენის მიზნით, მკვლელობისა და საქმის გამოძიებით დაინტერესებულმა თანამონაწილემ იმჟამინდელი შსს-ს მაღალჩინოსანმა ფირცხალავამ შსს-ში წარადგინა ვიდეოკასეტა, რომელზეც ასახული იყო 23 ნოემბერს განვითარებული მოვლენები. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, პროკურატურაში კადრების მითანის იდეა დონაძისგან იყო ნაკარნახევი ფირცხალავასათვის (დონაძე იმ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა). პროკურატურამ ვიდეოფირის საქმის მასალებს დაურთო. ამ დროს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და დაცვის მხარეს უჩინდებათ ეჭვი, რომ კაცეტა ფაბრიკაციულია.

პირველი ექსპერტიზა შსს-მ ჩაატარა და დაასკვნა, რომ გაერცვლებული კადრები მონტაჟი იყო. ამ პერიოდში ქვეყანაში ბრუნდება შსს-ს პრესცენტრის ყოფილი და ვილაცათაგან (უცნობია ვისგან) შეგულიანებული დონაძე და რიხინადა აცხადებს, რომ აპირებს გამოძიებასთან თანამშრომლობას, ყველა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას, პარალელურად, პირადი გამოცდილებით იცის, როგორი დასკვნის დადება შეეძლო შსს-ს, ექსპერტიზის მოთხოვნით სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართავს.

ამ ბიუროს შესახებ ერთი რამის თქმა შეიძლება: ეს იყო სააკაშვილის, ადგილზე დაიკა და მერაბიშვილის ნებასურვილის გამტარებელი სახელმწიფო ორგანო, იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ სტრუქტურის რეორგანიზაციის მომიზეზებით, სამსახურიდან ბევრი პროფესიონალი გაუშვა, თუმცა, მათ ადგილებზე ისეთები მიიღო, რომლებსაც წარმოედგინა არ ჰქონდათ ექსპერტიზაზე, სამაგიეროდ ერთგულნი იყვნენ „ტროიკის“ და ზემოდან წამოსული ყველა მითითებას 10-ანზე ასრულებდნენ. ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ როგორც ჩემი, ასევე ათობით ჟურნალისტის კრიტიკა ყურადღების მიღმა რჩებოდათ ნაცებს. ისინი არად დაგვიდევდნენ მოსახლეობის საჩივრებს ექსპერტიზის ბიუროს გამოტანილ დასკვნებზე. მომჩივნებს ყველანაირად უშლიდნენ დამოუკიდებელი ექსპერტების საქმეში ჩართვას. და თუ ეს ხერხდებოდა, სრულად იყო იგნორირებული დამოუკიდებელთა დადებული დასკვნები.

აი, ასეთი რეპუტაციისა და „გამოცდილების“ მქონე ორგანოს მიმართა დონაძე-ფირცხალავას წყვილმა. სამხარაულელთა დასკვნა არც არავის გაკვირვებია. ბიურომ დაადგინა, რომ შსს შეცდა.

მაშინ პროკურატურამ ფირი აშშ-ის ფედერალურ ბიუროს სპეციალურ ლაბორატორიაში გადააგზავნა. იქიდან კი მოვიდა დასკვნა, რომ ვიდეოფირი არ წარმოადგენს ორიგინალს და 25-ზე მეტ რედაქტირებას შეიცავს. დასკვნაშივე ვკითხულობთ, რომ მონტაჟი შეიძლება გაკეთებულიყო გადაღების ან სტუდიური მონტაჟის დროს. დღეს ამ საქმეზე ხუთი ბრალდებულია – გურამ დონაძე, ირაკლი ფირცხალავა, ზურაბ მიქაძე (იმჟამინდელი „პატრულის“ ხელმძღვანელი), ალექსანდრე გვაზავა, დავით იაშვილი, მეექვსე ბრალდებული, გამოძიების მონაცემებით, საქართველოში არაა და მასზე გამოცხადებულია ძებნა.

ბრალდებულები ბოლო სასამართლოს სხდომაზე ერთხმად აცხადებდნენ, რომ უდანაშაულონი ვართო და მოითხოვდნენ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილებას, ხოლო აშშ-დან ჩამოსული ფედერალური ბიუროს ლაბორატორიული დასკვნა ბათილად ეცნოთ. ამგვარი განცხადებების შემდეგ პროკურატურამ ფირი დამატებით ექსპერტიზასთვის გერმანიაში გააგზავნა. გურამ დონაძის ადვოკატი კახა შონია არ აპირებს გერმანიიდან პასუხის დალოდებას და აცხადებს, რომ ვიდეომასალა მთავარი საბილია და მისი უგულვებლყოფა დაუშვებელია. უფლებების დამცველი საზოგადოებას აფრთხილებს, რომ თუ არ უნდათ ამ საკითხზე მუდმივად არსებობდნენ კითხვები, ვიდეომასალა მტკიცებულებად უნდა იქნეს მიღებული ამის გაუთვალისწინებლობით კანონიერი საფუძველი არ არსებობს. სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს – მოსახლეობას მიმართავს შონია.

ადვოკატი, ადამიანის უფლებების დამცველი, პროფესიონალი და მონოდებით კანონიერების და სამართლის დამცველი (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს) მოგვიწოდებს აშშ-ის უაღრესად ავტორიტეტული და უდიდესი გამოცდილების მქონე ფედერალური ბიუროს ლაბორატორიული დასკვნა უგულვებლყოფით, ვენდოთ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნებს (გასაგებია, საქართველოს შსს-ზე ეჭვების გაჩენის საფუძველი და არგუმენ-



„დონ გურბიას“ და მის თანამშრომლებს კადრების ფალსიფიკაციისთვის დაიჭირენ



ტები) და ბრალდებულები უდანაშაულოდ ცნონ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლონ. საინტერესოა ხატიაშვილმა თუ იცის, რომ მის ამქარში ამგვარი უდიდესი იდეების გენერატორები არიან, და თუ არ იცის, არც გააგებინოთ...

პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნათუნა პაიჭაძე აცხადებს, რომ გამოძიება დაელოდება გერმანიიდან ჩამოსულ დასკვნას და ამის შემდეგ ყველა დასკვნა სრულად იქნება წარმოდგენილი სასამართლო პროცესზე.

ბოლო სასამართლო სხდომაზე პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა რობაქიძის მკვლელობის დროს შსს-ს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვის შესახებ. შემდეგი სასამართლოს სხდომა 8 ივლისსაა ჩანიშნული.

დონაძის უნომენი

რომორც კი სამართალდამცავების უფლებების დამცველების და გარდაცვლილის ოჯახის წევრთაგან თავდაპირველად ეჭვი, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები გაჩნდა ვიდეოფირის ფალსიფიკაციისა და კადრების მონტაჟის თაობაზე, საზოგადოებაში გავრცელდა მოსაზრება, რომ ფაბრიკაციის ინიციატორი, და, შესაძლოა, შემსრულებელიც შსს-ს იმჟამინდელი პრესცენტრის ხელმძღვანელი გურამ დონაძე ყოფილიყო.

დონაძე წლებიც განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში მუშაობდა რიგით ჟურნალისტად. „ვარდების რევოლუციის“ სიოს დაბერვისთანავე მისი რეპორტაჟები, სიუჟეტები შევარდნაძის მთავრობის მიმართ არა იმდენად კრიტიკული და რეალობის ამსახველი, რამდენადაც ლვარდლიანი გახდა, „რევოლუციონერთა“ პირველმა შს მინისტრმა გააბარა მიქაძე იგი არ წაიყვანა თავისი უწყების პრესცენტრში, სამაგიეროდ შემდგომმა, – ირაკლი ოქრუაშვილმა დაუფასა ლვარდლი და გურამ დონაძე შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გახდა, ახალმა უფროსმა ახალი კადრები მიიყვანა.

მისი დიდი დამსახურებაა რომ ისედაც ჩაკეტილი უწყება ოქრუაშვილის დროს თითქოს შეუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა მასმედიის საშუალებებისა და არასამთავრობოებისთვის. დონაძე განსაკუთრებით მოძლიერდა მერაბიშვილის შსს-სა და უშიშროების სამსახურების გაერთიანებულ მინისტრად დანიშნვის შემდეგ. მისი უშუ-

ალო მითითებით ნებისმიერი რეგიონის ყველა დონის პოლიციელს ეკრძალებოდა ჟურნალისტებთან თუ ა/ოების წარმომადგენლებთან არა თუ კომენტარის, არამედ ელემენტარული ინფორმაციის გაცემაც კი უშინშენილო ფაქტზე, სამინისტრო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე. მან ტოტალური მეთვალყურეობა დააწესა ყველა სატელევიზიო არხის კრიმინალურ ინფორმაციების გაშუქებაზე. ერთადერთ ნათელ წერტილად „იმედი“ რჩებოდა, მაგრამ პატარაკაციშვილის სიკვდილისა და ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის იმჟამინდელი უფროსის გიორგი თარგამაძის პოლიტიკის შედეგად (რაც ნაცებმა დაუფასეს და პარლამენტში მას დატელევიზიოდან წამოყრილ მისთანებს, სათანადო ადგილებზე გაუჩარხეს და უმცირესობის ლიდერის სტატუსიც მიანიჭეს), მალე „იმედიც“ დონაძის კონტროლქვეშ მოექცა.

დონაძის პერიოდში ხდებოდა ადამიანის უფლებების, უდანაშაულობის პრეზუმფციის არნახული დარღვევები, ტელეეკრანებიდან გავსხენებდნენ ხალხს, რომლებსაც სასამართლოს მხრიდან ბრალი ჯერ არ ჰქონდა წარდგენილი, დონაძის ჟურნალისტები კი მას მძიმე დანაშაულებს ჩამდებდნენ და ქვეყნის ამოხრებად წარმოგვიდგენდნენ. ამავე პერიოდში პირდაპირ ეთერში გადაცემოდა სპეცოპერაციების კადრები, როდესაც ავტომატებით შეიარაღებული, კამუფლაჟიანი ნიღბოსნები შუალამისას ძალის გამოყენებით, კარებებისა და ფანჯრების მტკრევით შედიოდნენ ოჯახებში. გვაყურებიანდნენ თუ როგორ ტენიდნენ მანქანებში სპეცრაზმელები ღამის სამოსლიან ოჯახის წევრებს განურჩევლად მათი სქესისა, გვიჩვენებდნენ შეშინებულ და ატირებულ უპატრონოდ მიტოვებულ არასრულწლოვნებსა და მცირეწლოვნებს. გვიჩვენებდნენ ამოხრებულ სახლებს და ჩხრევის შედეგად ნაპოვნ „იარაღებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს. ამ კადრებს ექსკლუზიურად „რუსთავი-2“ გადასცემდა. მისცემდნენ თუ არა სხვა ტელეკომპანიებს მასალის გაშვების უფლებას, დონაძის ნებასურვილსა და „რუსთავი-2“-ის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული.

პრესცენტრის უფროსი სამინისტროში უდიდესი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. მას მინისტრის ზოგიერთ მოადგილეზე მეტი შესაძლებლობაც კი ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ დეპარტამენტებისა და მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებზე. შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე გურამ დონაძეს პირად საუბრებში „დონ გურამისაც“ უნდებდნენ. მერაბიშვილმა შეუძინა და გაუხსნა დონაძეს პრესცენტრში სამონტაჟო, რომელშიც შესვლის უფლება არავის ჰქონდა „დონის“ ნებართვის ან თანდასწრების გარეშე. სწორედ ამ სამონტაჟოში ხდებოდა დონაძის მიერ შექმნილი და შსს სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „პატრულის“ განხორციელება. ქვეყანაში კრიმინალს მიჰქონდა ყველაფერი და დონაძის პროგრამა უწყინარად გვიჩვენებდა თუ როგორ ეხმარებოდნენ „პატრულის“ თანამშრომლები მოვლესა თუ ინვალიდს გადასასვლელზე გადმოსვლაში, მისამართდაკარგულებს – ახლობლების მოძებნასა და ა. შ.

გირგვლიანის გახმაურებულ საქმეში რალაც წილით მონაწილეობის გამო დონაძე პოსტიდან გადააყენეს. მაგრამ ეს მხოლოდ საზოგადოების თვალში ნაცრის შესაყრელად მოხდა. „დონ გურამი“ ფორმალურად აღარ იყო უფროსი, თორემ პრესცენტრის მუშაობასა და ტელეკომპანიებთან ურთიერთობებზე კონტროლი ისევ მის ხელში დარჩა.

ვითომ გათავისუფლებულმა სამინისტროს დააფინანსებინა მის მიერვე შექმნილი ახალი ტელეპროექტი „უბნის ინსპექტორი“. აქაც იგივე იყო, არაფერი კრიმინალზე რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, გადაცემის სიუჟეტები შსს-ს პრესცენტრის სამონტაჟოში მზადდებოდა, ხოლო გადაცემის ბოლოს ტიტრებში სრულად დაუფარავად პროექტის ავტორად მოხსენიებული იყო გურამ დონაძე.

ჟურნალისტურ წრეებში ამბობენ, რომ დონაძემ „პატრულის“ იდეა და სცენარი კოკა ყანდიაშვილის „ვიდეოპატრულის“ აიღო, და თავის პროექტად გაასალა. გამოიღო, რომ ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად „დონი“ იდეების ქურდიც ყოფილა.

ჩვენს გაზეთს, არა ერთხელ აქვს ატყეილი განგაში იმის თაობაზე, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ დონაძეს სამინისტროს პრესცენტრიდან დაუფარავად გააჰქონდა არქივის მასალები, ე.წ. „ნედლი მასალა“, მონტაჟის გარეშე. მაგრამ, როგორც ჩანს, ღარიბაშვილი და მისი გუნდი იმდენად იყვნენ სამინისტროს გადაბარების პროცესებით გართულნი, რომ ეს დეტალი უყურადღებოდ დარჩა. არადა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, არქივში ჩინებოდა სხვადასხვა გახმაურებულ თუ გაუხმაურებულ ფაქტებზე დაყრდნობილი „ნედლი მასალა“. მისი ხელთქმნის შემთხვევაში საქირო აღარ იქნებოდა ვიდუო კასეტის აშშ-სა და გერმანიაში გაგზავნა. მისი დედანის თუ ფალსიფიკაციების შესახებ დასკვნის გაცემისათვის.

ამდენი რამის მომხერხებელ კაცს, რასაკვირველია არ გაუჭირდებოდა დედნისგან ფალსიფიკირებული სიუჟეტის მომზადება. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ფირცხალავას მიერ სამართალდამცავებისთვის წარდგენილი ფირი განსხვავდება ტელეეკრანებზე ადრე გაშვებულისგან. გამოდის, რომ ვიდეოკასეტა ახალი დამონტაჟებულია. ექსპერტები და პროფესიონალები ასკვნიან, რომ დედანი, „ნედლი მასალა“ არსებობს, შემორჩენილია და ის გურამ დონაძეს უნდა ჰქონდეს.

ზაზა ბილინოძე

რად გამოვიტანე ამ წერილის სათაურად ანა კალანდამის ერთი ცნობილი ლექსის ტაბო, ამას მკითხველი ქვემოთ ნახავს. მანამდე კი ორი ციტატა:



„იმისთვის, რომ აქ იყოს მშენებლობა, განვითარება და ქართული სახელმწიფოს გაძლიერება გაგრძელდეს, უნდა სასწრაფოდ გაგრძელდეს ამ რკინიგზის მშენებლობა. რატოა ახლა ეს გაცივებული, რატო არ მუშაობს აქ ექსპერტები. როდესმე გინახავთ, როცა ადრე მე მივსულიყავი მშენებლობაზე და იქ არ იყოს შესული მუშახელი და დღევ და ღამეც არ მიდიოდეს აქ მუშაობა? რატოა ეს გაჩერებული?“

ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა წაიკითხა, 25 მარტს, ახალქალაქში სტუმრობისას წარმოთქვა.

ახლა მეორე ციტატა: „პრეზიდენტი ამბობს, რომ, თურმე რკინიგზის მშენებლობა შევჩერეთ. არადა, პირიქითაა. თუ ნახავთ ახლა, ახალი მენეჯმენტის პირობებში, ვინც ჩვენ დაგვიწვია, მაქსიმალური მოთხოვნაა ტექნიკის და უფრო დიდი ტემპებით გრძელდება რკინიგზის მშენებლობა. მე არ ვაპირებ, დეტალურად ვუპასუხო მას. თუ ნახავთ, იქ ამდენი ტექნიკა არასოდეს არ ყოფილა მოთხოვნილი. გააქტიურდა და დაჩქარდა პროცესები. იქ მშენებლობის ტემპები, მე რაც მაქვს ბოლოს ინფორმაცია, გაცილებით დაჩქარდა.“

ეს კი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ, 3 ივლისს, „შერატონ მეტეხი პალასში“ ყურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მე რომ წინა დღეს არ ვყოფილიყავი ამ რკინიგზის მშენებლობაზე, არ მენახა სამუშაოთა მიმდინარეობა და უშუალოდ არ გავსაუბრებოდი იქ დასაქმებულ ადამიანებს – ქართველებსაც და აზერბაიჯანელებსაც, იქნებ გამჭირვებოდა კიდევ საკუთარი პოზიციის გულდაჯერებით გამოხატვა, მაგრამ რაკი ვიყავი, ჩემს სათქმელს ვიტყვი.

ჭეშმარიტებას ლაღადებდნენ ბაგენი მისნი, როცა ახალქალაქში გამოსვლისას, თქვა: „როდესმე გინახავთ, როცა ადრე მე მივსულიყავი მშენებლობაზე და იქ არ იყოს შესული მუშახელი და დღევ და ღამეც არ მიდიოდეს აქ მუშაობა?“

დიახ, სწორედაც რომ, დღისითაც და ღამითაც!

რაო, ურწმუნო თომანო, ნუთუ არ გახსოვთ თუნდაც ბათუმის რომელიღაც მრავალსართულიანი სახლის მშენებლები როგორ სთხოვდნენ სააკაშვილს ახალი წლის ღამის წინა ღამეს, – ნება დაგვრთეთ, რომ ღამითაც ვიმუშაოთო?

ან მართლაც განა ოდესმე ყოფილა, რომ სააკაშვილი სადმე მისულიყო და იქ „მიშა-მიშას“ სკანდირებით არ დახვედროდნენ ეგზალტირებული ფანები?

ავი ენები კი გაიძახოდნენ, ესენი ტელემაყურებელთა თვალის ასაბამელად ყვითელი ავტობუსებით მოყვანილი ადამიანები არიანო, მაგრამ ხომ თქვა ჩვენმა გულ და ენამართლმა „მალაღმა“, ეს სპონტანურად შეგროვილი ხალხია, წინასწარ არასდროს არავინ არ გაგვიფრთხილებია და, მით უფრო, ღმერთმა დაგვიფაროს და, ორგანიზებულად არავინ მიგვიყვანია სადმე ავტობუსებითო?

თუმცა, რომ იტყვიან, ჯანდაბას შაყირი და მას, ახალქალაქში თავისი მო-

რიგი მაგარი „რეჩის“ დამრტყმელს, მინდა ვკითხო, არ აინტერესებს, რატომ დავარქვი ამ წერილს სათაურად ანა კალანდამის ლექსის ტაბო?

მაგრამ სანამ ამას ვკითხავდე, მინდა, შევასხენო ამ ლექსის ერთი სტროფი.

„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა... და როდესაც ბარში ვარდნი, ყვაოდნენ, თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...“

ბარში ვარდნი, მოგეხსენებათ, ვარდობისთვის, ანუ მაისში ყვა-ვიან!

ესე იგი, მაშინაც კი, როცა „ბარში ვარდნი ყვაოდნენ“, ანუ მაისშიც, თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედაო, ამბობს პოეტი.

თუმცა ჯავახეთის მთები რად გვიანდა, როცა, თუ კარგად დააკვირდებით, იმ „დასტოვებულ“ ტელეკადრითაც, რომელიც 25 მარტს ახალქალაქში მის

...და როდესაც ბარში

გამოსვლას ასახავს, კარგად ჩანს, რომ მთებში კი არა, ვაკეზე მშენებარე რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილი თოვლი, რომელიც რკინიგზისა და ვაგზლის მშენებლობის „შეჩერების“ გამო ასეა იგი „შეშვოთებული“.

ჰოდა, ახლა ვკითხები მას, თოვლში სამშენებლო სამუშაოების, თანაც რკინა-



წალკის სადგურის სარემონტო სამუშაოები

ბეტონის სამუშაოების ხარისხიანად შესრულება შეიძლება? მით უფრო იქაურ, საქართველოს ციმბირად მონათლულ ჯავახეთის მეტად მკაცრ კლიმატურ პირობებში, როდესაც თუნდაც ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაცივებული თოვლის ნამქერი თვით მაისის შუა რიცხვებამდე არ იძლევა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების საშუალებას?

თუმცა ერთი კია: მას წაღუღლსაც რომ შარშანდელი უფლებამოსილებანი შქონოდა და მარტშიც ისეთივე „ძლევა მოსილი“ ჩასულიყო ახალქალაქში, მშენებარე ვაგზლის ტერიტორიას მართლაც უამრავი სპეცტანსაცმიანი მუშითა თუ სამშენებლო ტექნიკით სავსე და აფუსფუსებულს დაახვედრებდნენ მისი ხელის ბიჭები!

ისიც, გახარებული, ტელეკრანიდან მოგვახარებდა, ნახეთ, რა მაგრად შენდება სოფელიო! მაგრამ შედეგი?

თუმცა, მაშინ განეული მუშაობის რეალური შედეგების ამსახველ ციფრებს ვინ გაგვაგებინებდა (ჯიბის ტელევიზიები კი, რომც სცოდნოდათ, ჩვენ როგორ გვეტყოდნენ!), დღეს კი შემოძლია ერთი ასეთი კონკრეტული ციფრის დასახელება: წლებიდან ივლისის მდგომარეობით, მთლიანი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კრებსითი შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ 28,4 პროცენტია.

და კიდევ ერთი ფაქტი: უშუალოდ ახალქალაქის ვაგზლის სამშენებლო სამუშაოებზე მისი ზეობისას, თუნდაც 2012

წელს, შესრულებულია 2 605 334,24 დოლარის სამუშაოები, წლებიდან ექვს თვეში კი (სინამდვილეში ორ თვეში) 540 683 დოლარით მეტისა. ეს არის შიჩა-რემა?

დიახ, სადღესოდ მესამედიც კი არ არის შესრულებული იმ ობიექტის მთლიანი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა, რომელიც „სოფლის მშენებელი“ ნაციონალების, თავდაპირველი გათვლებით, ჯერ 2010 წელს უნდა დამთავრებულიყო, მერე – 2012 წელს, მაგრამ...

– კონკრეტულად მაინც როდის არის გათვალისწინებული და, რაც მთავარია, თქვენი გუნდის რეალური გათვლებით, როდის უნდა გაიხსნას სარკინიგზო მიმოსვლა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე? – ამჟამად დავასწრებ მოვლენებს და საგაზეთო მასალის „შუა წელისკენ“ გადმოვიტან შეკითხვას, რომელიც შპს „მარაბდა-კარნახის“ დირექტორს ირაკლი ნულაიას ჩვენი ერთად ყოფნის მიწურულს, ჯავახეთიდან უკვე თბილისში ჩამოსვლისას დაუწვავია. ახალგაზრდა კაცია ბატონი ირაკლი,

დანიშნით საქართველოს მთავრობამ და პირადად პრემიერ-მინისტრმა გამოუცხადეს.

ერთი რამეც მომეწონა ბატონი ირაკლისა – მავანთა და მავანთა მსგავსად არ ცდილობს წინამორბედთა გაკეთებულის დამცრობა-დაკნინების ხარჯზე თავისი ნამოღვანარის განდიდებას, ობიექტურად და რეალურად აფასებს აქამდე გაკეთებულს და გონივრულად განჭკვრეტს სამომავლო გეგმებსაც.

– ჩემს წინამორბედთა მიერ განეული მუშაობას არანაირად არ ვაკნინებ, მათ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ფაქტია, რომ მშენებლობის დაწყებიდან განვიღობოთ ხელს წელიწადში შესრულებული გათვალისწინებულ სამუშაოთა მხოლოდ 28-29 პროცენტი, – მეთანხმება ბატონი ირაკლი. წლებიდან იანვრიდან მოყოლებული, როცა ახალი მენეჯმენტი შეუდგა მუშაობას, პირველი თვეები დაგვიჩინა პროექტის სისტემურ ცვლილებებზე სამუშაოდ. საქმე ის არის, რომ თუ ძველი პროექტითა და გზით განვაგრძობდით მუშაობას, დაახლოებით 2020 წლამდე

რატომ და რამდენად საუპოკლიანად არის „შეშვოთებული“ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ხარისხი. როგორ გუშინდებოდა პრაქტიკულად თუნდაც კიდევ წლები ოთხი დღით გახანგრძლივების შესაძლებლობას იყო კბილებით ჩაბლაუჭებული?

ვერ დავამთავრებდით სამუშაოებს. ამიტომაც დაგვიჩინა რადიკალური გადწყვეტილებების მიღება და დიდი შრომაც სამუშაოთა რეალური გეგმარაფიკის შესადგენად, რომლის მიხედვითაც 2015 წლის შუაგულისთვის უნდა ამოქმედებულიყო ეს რკინიგზა, მაგრამ ძილის დროც რომ არ დაგვრჩეს, ყულაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ამ რკინიგზაზე მატარებელმა უკვე 2014 წლის მიწურულს გაიაროს. ეს არის გეგმა, რომელიც დავისახავს ქვეყნის მთავრობამ და პრემიერ-მინისტრმა. ამიტომაც იგი უთუოდ უნდა შესრულდეს, ოღონდ, ცხადია, არა სამუშაოთა ხარისხის გაუარესების ხარჯზე.

– რატომ მაინც და მაინც 2014 წლისთვის?

– ჯერ ერთი, თუნდაც იმიტომ, რომ რაც მალე ამოქმედდება რკინიგზა, მით უფრო მალე და მეტ შემოსავალს მიიღებს აქედან ქვეყანა. და მეორეც: მოგეხსენებათ, 2014 წლის მიწურულისთვის მთავრდება ავღანეთში აისაფის პროგრამა. ამიტომ უკვე 2015 წლის დასაწყისიდან უნდა დაიწყოს ამ ქვეყნიდან აშშ-ს და, საერთოდ, ნატოს ქვეყნების სამხედრო შენაერთების ტექნიკა-შეიარაღების თუ სხვა ტვირთების გამოტანა, რაც სწორედ ჩვენი რკინიგზის მშენებლობით უნდა განხორციელდეს. უბრალოდ დანაშაულია, რომ ამას მოუშადადებლნი შევხვდით...



ყარსის ტბის მიმდებარე ადგილას მდებარე ტბის ნაპირისა და მიმოსვლის შეწყვეტის საშუალებების რკინიგზის მანქანის ტრასა

საუკუნის პროექტი

ვიდრე ბატონ ირაკლისთან საუბრის სხვა რამდენიმე საყურადღებო მომენტსაც შემოგთავაზებდეთ, მინდა, ამ რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პიროვნება გაცნოთ – გურბან პირიევი – სააქციო საზოგადოება „აზეროილსერვისის“ საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი, მთავარი კონტრაქტორი, რომელიც ამ მშენებლობაში 2011 წლიდანაა ჩართული და ჩემი მივლინების პირველსავე პუნქტზე, წალკის სადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოებზე გაცივანი (რომ ენახა „შეშვითებულ“ სააკაშვილს, როგორ მუშაობდნენ იქ ექსპერტორებიც, სატვირთო მანქანებიც, სხვა სახეობის ტექნიკაც და მუშებიც, იქნებ ცოტათი მაინც დანყნარებულიყო, მაგრამ...).

– წინა წლებთან შედარებით არავითარი ჩამორჩენა მშენებლობაზე და, მით უფრო, შექმნება არ შეიძლება. პირიქით, არის იმის ტენდენცია, რომ გაიზარდოს და კიდევც იზრდება სამუშაოთა ფრონტი, ტემპი, ტექნიკით უზრუნველყოფა და სხვა. – ასეთია მისი აზრი...

ნალო ობიექტია გაერთიანებული, მეორე ეტაპზე კი, როცა ტვირთბრუნვა 15 მილიონ ტონამდე გაიზრდება, მის მთლიან ფართობს კიდევ 30 ჰექტარი ტერიტორია დაემატება) არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იქნება გამორჩეული, არამედ მსოფლიოში ანალოგიურ მშენებლობათა ათეულში შედის. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თვით ამ რკინიგზის პროექტი გაერომ მსოფლიოს 100 საუკეთესო პროექტთა რიცხვში ჩართო.

ეს რაც შეეხება მთლიანად სადგურს, მისი ვაგზის მშენებლობა კი დასასრულს უახლოვდება და წლის ბოლოსთვის ყოველმხრივ დამთავრდება. ამავე დროისთვის გვექნება მზად სადგურის ტერიტორიაზე ასაშენებელი ობიექტების 70-80 პროცენტიც. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვაგზალი საერთაშორისო დანიშნულებებისა და ექნება ამგვარი ობიექტებისთვის აუცილებელი ყველა სამსახური თუ ინფრასტრუქტურა... (სხვათა შორის, აქსამგვარო შემადგენლობებს შეუქმნებლად შექმნებათ, სპეციალური მოწყობილობის – კამბი-



მალე აქ ლინდაში დაიგება

მძღვანელობს ამ რკინიგზაზე ლინდაგის გაყვანას...

...საბჭოთა დაქანცული და შთაბეჭდილებებით დატვირთული ვბრუნდებით თბილისში. ბატონ ირაკლის

ვაქტი კი არა, ის არის მიუღებელი, რომ მუშებს რაღაცების მოუგვარებლობის გამო მიტინგ-ბუნტის მოწყობა უნევთ.

თუ გინდა, რომ ხელქვეითისგან კარგი და ნამუსიანი მუშაობის მოთხოვნის მარტო იურიდიული და არა, მორალური უფლებაც გვექნება, მას, შესაძლებლობის ფარგლებში, ჯეროვანი პირობებიც უნდა შეუქმნა.

ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. თუ აქ ჩვენი მენეჯმენტის მოსვლამდე მუშებს 500-550 ლარი დამატებით ხელფასად, ახლა მათი მინიმალური ანაზღაურება, როგორც მოგახსენეთ, 800 ლარია. ისინი სახლებიდან სამსახურამდე და პირიქით, ტრანსპორტს უფასოდ გადაჰყავს, აქვთ უფასო კვება, ხარისხიანი სპეცტანსაცმელი და სხვა.

ვერ ვიტყვი, სამოთხის დარ პირობებში არიანო, მაგრამ, როდესაც მუშები ერთგვარად მაინც გრძნობენ მათდამი ყურადღებას, ამას ძალიან აფასებენ. ამიტომაც მითხრეს, ჩვენ თვითონ მოვიშორეთ რამდენიმე ბუნტისთავი თანამოსაქმეო.

– მათი შრომა-ყოფის პირობების გაუმჯობესება კარგია, მაგრამ, რაკი დღესდღეობით საქართველოში მწვედვად დგას დასაქმების პრობლემა, რამდენია აქ დასაქმებულითაგან საქართველოს მოქალაქე?

– ჩვენ კონტრაქტორებისგან კატეგორიულად მოვითხოვეთ, რომ დასაქმებულთა სულ მცირე 70 პროცენტი საქართველოს მოქალაქეები ყოფილიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს მონაცემი 80-85 პროცენტი.

– როგორც მითხრეს, სექტემბრისთვის რკინიგზა თურქეთის საზღვრამდე მივა. თუ გყავთ ვინმე შეგულებული იმ დროისთვის, ლენტის გამჭრელად, თანაც პროფესიონალი? – ხუმრობს ბატონი არამაზი.

– ჩვენ არანაირად არა ვართ ორიენტირებული ლენტის გაჭრასა თუ სხვადასხვა „პაკაზუხობაზე“, ჩვენი მთავარი მიზანი სწრაფტემპიანი და ნაყოფიერი მუშაობაა, – ლიმილით პასუხობს ბატონი ირაკლი.

– თქვენი აზრით, ეყოლება ამ რკინიგზას მგზავრები?

– ჩვენი მთავარი საზრუნავი მისი დროული და ხარისხიანი გაყვანა და არა იმაზე ფიქრი, ეყოლება თუ არა მას მგზავრები. მაგრამ როგორც ერთ მოქალაქეს, იმის თქმა კი შემიძლია, რომ ეს რკინიგზა, რომელიც თურქეთიდან, მარმარილოს ზღვის გავლით, 7-მილიარდიანი პროექტით ინგლისამდე გაგრძელდება, აუცილებლად მოიზიდავს მგზავრებს და ჩვენს ქვეყანასაც მისცემს საგრძნობ შემოსავალს...

პარღნი ყვარდნენ...



ირაკლი ნულიანი დაიბადა 1981 წლის 4 აპრილს. 2003 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2006-2007 წლებში მუშაობდა „ქართუ ჯგუფში“ ლოჯისტიკის მრჩეველად. შემდეგ იყო ფირმა „ივენისის“ კომერციული დირექტორი, „BLAK@WHITE – SOLUTIONS“ ფირმის გენერალური დირექტორი, 2012 წლის მიწურულიდან კი „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ გენერალური დირექტორია. ჰყავს ერთი ქალიშვილი.

ჩვენი სამივლინებო მარშრუტის მომდევნო „გაჩერება“ ფარანის ულამაზესი ტბის მიმდებარე ტერიტორია იყო, სადაც, ზღვის დონიდან 2 200 მეტრზე მეტ სიმაღლეზე, თოვლი და გაყინული ნამქერი გვიან გაზაფხულამდე ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზაზე მოძრაობას. – სწორედ ამ პრობლემის სამუდამოდ მოსაგვარებლად, – გვეუბნება შპს „მარაბდა-კარნახის“ ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი თენგიზ თოდუა, – შენდება აქ გალერეა, რომელიც, თავდაპირველი ვარიანტით, რკინაბეტონისა უნდა ყოფილიყო, რაც ერთობ შრომატევადიც არის და დიდ დროსაც – 2-2,5 წელს მოითხოვდა. ამიტომაც პოლონურ ფირმა „ვიაკონთან“ თანამშრომლობით რკინაბეტონი მოთუთიებული და ამით უფანგავ მასალად ქცეული გოფირებული რკინის ფურცლებით შეიცვალა, რის წყალობითაც 1167 მეტრი სიგრძის ამ გალერეის გაყვანას სულ 3-4 თვე დასჭირდება. ახლა 6 მეტრიდა აქვთ გასაყვანი. მერე იგი მოიზინება, ზემოდაწინ 80 სანტიმეტრი სისქის მიწის ფენით დაიფარება და...

– მარტო ეს ერთი გალერეა შენდება ამ რკინიგზაზე?

– არა, ამას გარდა, იქნება კიდევ სამი – სამასი, ოთხასი და ხუთასი მეტრი სიგრძისა. აი, მათი დამთავრების შემდეგ კი ნამდვილად ვერაფერს დაგვაკლებს აქამდე დაუმარცხებელი ნამქერი, – ხუმრობს ბატონი თენგიზი.

იგი, რომ იტყვიან, თხემით ტერფამდე რკინიგზელი და თავისი საქმის დიდად მცოდნე პროფესიონალია, განათლებული და სასიამოვნო პიროვნება, 1975 წლიდან მუშაობს რკინიგზაზე, 2007 წლიდან, შპს „მარაბდა-კარნახის“ შექმნის დღიდან, კი ლიანდაგის ყარსამდე მიყვანის საქმეს ემსახურება.

– ახალქალაქის რკინიგზის სადგური გრანდიოზული მშენებლობაა და თავისი მოცულობის გათვალისწინებით (მისთვის ამ ეტაპზე, როდესაც წლიური ტვირთბრუნვა ხუთ მილიონ ტონაზეა გათვლილი, 100 ჰექტარი ტერიტორიაა გამოყოფილი და 170 ობიექტს მოიცავს, რომელშიც უამრავი სხვადასხვა დანიშნულების სარკინიგზო-სატერმი-

ადორის – საშუალებით გადავიდნენ ე.წ. საბჭოური რელსებიდან ევროპულ, უფრო ვიწრო ლიანდაგზე და პირიქით, სატვირთო მატარებლებს კი ამისთვის სპეციალურ, ურიკების შეცვლის ტერმინალში შეიყვანენ და იქ შეუცვლიან გოგორწყილებს)...

ახალქალაქიდან ჩვენი მარშრუტი უკვე კარნახისკენ მიემართება.



თურქეთის საზღვრამდე 15 კილომეტრზე დარჩა ლინდაში გასაყვანი

– ეს ხიდი, რომელზეც ახლა გადავიარეთ, 154 მეტრი სიგრძისაა და მისი ანალოგიური სარკინიგზო გადასასვლელი ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე პოსტსაბჭოთა სივრცეში არ აშენებულა, – მეუბნება ბატონი ირაკლი. ლინკონსტრუქციისა კი, მაგრამ ამგვარი, რკინაბეტონისა – არა, აზუსტებს შემდეგ და ხაზგასმით დასძენს – ამ ხიდის მეტი ნაწილი ჩვენი წინამორბედი ხელმძღვანელობის დროს გაკეთდა, თანაც ძალიან ხარისხიანად.

– აქ უკვე მომზადებულია ვაკისი, დაგებულია ლიანდაგი, რომელიც თანდათან უახლოვდება კარნახს.

– სულ 15 კილომეტრი სიგრძის ლიანდაგი გვაქვს დასაგები და სექტემბრისთვის აუცილებლად მივალთ კარნახის გვირაბამდე, – ამბობს „დამირიოლსერვისის“ (აზერბაიჯანულად – რკინიგზის სერვისის – რ. რ.) აღმასრულებელი დირექტორი ისმაილ სადიგოვი, რომელიც უკვე სამი წელიწადია ხელ-

ვთხოვეთ, რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხოს.

ბატონ არამაზ სანებლიძეს, ჩემს უფროს კოლეგას და მეგობარს, მშენებლობის ხელმძღვანელისგან იმის გაგება სურს, ფარანის ტბასთან რაზე ვლაპარაკებოდა იგი გარს შემოხვეულ მუშებს და რატომ უთხრეს მათ დირექტორს, ის რამდენიმე კაცი ჩვენ თვითონ მოვიშორეთ თავიდან.

– მაგათ ერთი კვირის წინათაც შეეხვდი, სანამ თურქეთში გავფრინდებოდი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. მაშინაც მოვილაპარაკეთ შრომის ანაზღაურებისა თუ შრომითი კონტრაქტების გაფორმების თაობაზე მათთანაც და კონტრაქტორებთანაც. შევთანხმდით, რომ იქაური მუშების მინიმალური ხელფასი ყოფილიყო 800

ლარი, გარკვეულ სამუშაოზე დასპეციალიზებული კვალიფიციური მუშებისა კი – სულ მცირე 1000 ლარი.

თითქოს კი შევთანხმდით, მაგრამ ყველაფერი შეთანხმებისამებრ არ მომხდარა და ამით უკმაყოფილო მუშებს მიტინგიც მოეწყობა. ეს კი ჩემთვის მიუღებელია. მიტინგის გამართვის

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური გაზსა-დენის ანალოგიურად, საუკუნის პროექტი უწოდეს. კარგია, როდესაც ქვეყანაში ასეთი გრანდიოზული პროექტი ხორციელდება, მაგრამ ხომ არ მოხდება ისე, როგორც ერთ ანდაზაშია – მოვიდა გარეული და გააგდო შინაური, ანუ ხომ არ დააზარალებს მისი ამოქმედება საქართველოს რკინიგზასა და ნავსადგურებს?

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ და შპს „მარაბდა-კარნახის“ გვითხრეს, ეს მაგისტრალი არ დააზარალებს საქართველოს რკინიგზას, არ წაართმევს არც მას და არც ბათუმისა თუ ფოთის ნავსადგურებს კლიენტებს თუ ტვირთს, იგი ძირითადად ჩინეთსა და შუა აზიის ტვირთების გადაზიდვაზე იმუშავებს.

ღმერთმაც ქნას! მანამდე კი ვუსურვოთ მშენებლებს წარმატებები საქმიანობაში. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, თავის მხრივ, ეცდება, რომ სისტემატურად მიაღწევოს თვალ-ყური მშენებელთა გარჯას და გააშუქოს მათი ყოველდღიური.

რუსლან რუსია, „სრ“ სპეც. კორ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრი დანაშაულში ამხილა



საბარტომეოლს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ოთხშაბათს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე დაადასტურა განზრახვა, დატოვოს ქვეყნის სახელი-

სუფლს სტრუქტურები. მაგრამ, ამას წინათ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემული ინტერვიუებისაგან განსხვავებით, რომლებშიც განაცხადა, რომ გადადგება პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა არ დაადასტურა, თუ კერძოდ, როდის გააკეთებს ამას.

პრემიერ-მინისტრის განცხადებამ პოლიტიკიდან მალე წასვლის შესახებ საკმაოდ შეაშფოთა საქართველო. ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც თავის სიმპათიებს არ მალავს ბიძინა ივანიშვილისადმი, აღშფოთებით აღნიშნა: „თუ ის ფიქრობს კიდევ ამის შესახებ, ყველას გასაგონად ამის თქმა დაუშვებელია... ქვეყანა რჩება რთულ მდგომარეობაში, მოსახლეობას ბევრი დაპირება მიეცა, ხალხი ელოდება მათ შესრულებას. და აი, უცხად ასეთი სიტყვები... დანაშაულშია გაანბნო ხალხი, რომელმაც გირჩუნა“.

კანონზომიერია, რომ ივანიშვილის სასწრაფო გადადგომა დომინირებული იყო პრესკონფერენციაზე. პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა სურვილი, რომ დატოვებს ხელისუფლებას, მოგვინოდა არ შევექმნათ ამაზე აჟიოტაჟი და ამავე დროს ერთგვარად გაფანტა განზრახვის შესრულების ვადაც: „მე წავალ პოლიტიკიდან, როდესაც წასვლა გავლენას არ მოახდენს საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე და ალარავის ექნება, მათ შორის ჟურნალისტებსაც, ამასთან დაკავშირებით შეკითხვები“...

როდესაც საქართველოს საშინაო პრობლემას შეეხო, პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრების შესახებ და პროცესს კიდევ ერთხელ უწოდა სამართლიანობის აღდგენა, რაც ლოგიკურ დასკვნამდე იქნება მიყვანილი. ივანიშვილი ასევე დაგვიპირდა, რომ გააკეთებს ყველაფერს სხვადასხვა — ეროვნულ, რელი-



გიორ, სექსუალურ-უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის.

НЕЗАВИСИМАЯ

პაუინგტონმა დაარწმუნა თბილისი, ირანელთა უპიზოდ არ შემოუშვან

3 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თბილისში ცალმხრივად გააუქმა უფიზო რეჟიმი ირანთან, რაც 2011 წლის 26 იანვრიდან მოქმედებდა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ თეირანთან დაკავშირებით სრულდება გაეროს ყველა რეკომენდაცია, მაგრამ ამავე დროს საქართველოს მხარეს სურს, შეინარჩუნოს კეთილი ურთიერთობა ირანთან. მაგრამ ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მომხდარის ნამდვილი სარჩული არის არა სურვილი — შეესაბამებოდეს საერთაშორისო სანქციების რეჟიმს, არამედ ზემოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

— დარწმუნებული ვარ, თბილისში მომუშავე დასაგლეუთის სპეცსამსახურები არ ტოვებდნენ უყურადღებოდ, თუ როგორ უახლოვდება სააკაშვილი ირანს. განსაკუთრებული ეჭვი შეიძლება გამოიწვიოს ირანელების აქტივობას ჩვენს უდიდეს ნავსადგურთან — ფოთთან. მას იყენებდნენ ტვირთების გადასატანად ირანში, და ამას არ შეიძლება არ გამოეწვია შეკითხვები საქართველოს ფარგლებს გარეთ, — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში ანალიტიკოსმა უსაფრთხოების საკითხებში, საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრმა ვახტანგ მაისაიაძემ.

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილიც მიიჩნევს, რომ თბილისში გაითვალისწინა ვაშინგტონის კარნახი.

თავისი უკმაყოფილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაერთგზის გამოხატა. ივნისში, მაგალითად, ამერიკის პრესაში გაჩნდა სტატია, რომელშიც ბრალი ედებოდა საქართველოს ხელისუფლებას გაეროს სანქციების შეუსრულებლობაში ირანთან და-

კავშირებით. მასში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ირანელი ბიზნესმენები თითქმის უკონტროლოები არიან საქართველოში, თავს არიდებენ ყველა საერთაშორისო შეზღუდვას, ხსნიან კომპანიებს ქართული გვარებით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მართლაც ბევრია ირანელი, რომლებიც არევისტორებზე საკუთრებას, ყიდულობენ ბინებსა და მიწებს.

თბილისში აღიარებენ, რომ ზოგიერთ ამ ბრალდებას აქვს ნიადაგი.

— საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, შეედლო გამოეყენებინა ბევრს, ვისაც არ ჰქონდა სურვილი, გამოჩენილიყო ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა მი-

ზებით, — უთხრა ჩვენს გაზეთს კავკასიის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა მამუკა არეშიძემ. — რაც შეეხება უშუალოდ ირანელებს, ვისდამიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში აქვთ სპეციალური ინტერესი, მართლაც უკანასკნელ პერიოდში მათ საქართველოში გახსნეს ძალიან ბევრი ფირმა, და სპეცსამსახურების საქმეა — შეამოწონ მათი ლეგალურობა და კანონიერება. სწორია, რომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საფიზო პოლიტიკის მონესრიგებასთან დაკავშირებით, ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო უკეთესად გავაკონტროლოთ სიტუაცია ქვეყანაში.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის მთავრობიდან მემკვიდრეობად ერგო სერიოზული პრობლემები მოუწესრიგებელი მიგრაციული პოლიტიკის გამო.

ამ დროს ოფიციალურად საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერჯერობით თავს იკავებენ იმ მიზეზების ზუსტი განმარტებისგან, თუ კერძოდ, ირანიდან რატომ დაინყო საქართველოში ლიბერალური საფიზო პოლიტიკა. მით უმეტეს, რომ მთლიანად 121 ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის რუსეთისასაც, ვისთანაც თბილისის დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ გააჩნია, შეუძლიათ შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე უფიზოდ.

საქართველოში ირანის საელჩოში ასევე უარი განაცხადეს სიტუაციის კომენტარებზე.

ИЗВЕСТИЯ

იხილი

IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში ყველაზე დიდი ნდობით ეკლესია და ჯარი სარგებლობს.

IRI-მ კვლევა მაისში ჩაატარა. შეიარაღებულ ძალებს გამოკითხულთა 93 პროცენტი ენდობა. კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიას და ჯარს ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ სხვა კრიტერიუმებშიც. ორივე ინსტიტუტს არ ენდობა გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტი. 5 პროცენტმა კი პასუხისგან თავი შეიკავა.

რამდენიმე ადამიანს ვთხოვეთაზრის გამოთქმა, თუ რატომ სარგებლობს საქართველოში ყველაზე დიდი ნდობით ეკლესია და ჯარი.

რბულ ჩილბჩაზა, პოეტი და მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: „ქართველები უნათესაო და უპატრონო ვართ. არც მეზობლები გვწყალობენ და არც ჩვენ მიერ არჩეული მესვეურნი. უფლისა და ჯარის გარდა სხვა დამცველი არც არასოდეს გვყოლია. დღესაც მათ ვენდობით, ჩვენი ხსნისა და გადარჩენის ბოლო ბასტიონად და ბურჯად მივიჩნევთ. ეკლესია და ჯარი ის ინსტიტუტებია, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე მტკიცედ, ურყევად და შეუპოვრად დგანან ერის სულიერი

„უფალი და ჯარი ჩვენი ხსნისა და გადასარჩენის ბოლო ბასტიონია“

სინმინდისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე. საზოგადოების, ეკლესიისა და ჯარის ტრიუმფირატი ჩვენი დამცირებული სამშობლოს აღორძინების მაცნედ მესახება და, ღვთისმშობლის მადლით, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება!“

6018 ტარმბაშვილი, ჟურნალისტი: „ყველაზე დიდი ნდობით ეკლესია და ჯარი იმიტომ სარგებლობს, რომ ეკლესია უფლის მცნებებზეა დაფუძნებული

და ჩვენი ქვეყანა მოციქულების მიერ განათლებული ქვეყანაა. პირველი საუკუნეიდან ქრისტიანები ვართ. ასე, რომ ეკლესიის მიმართ ნდობა ტრადიციულად მაღალია საქართველოში. ამას, ბუნებრივია, ხელს პატრიარქის ავტორიტეტი და პოლიტიკოსების უსუსურობაც უწყობს.

საქართველოში, სამწუხაროდ, დიდი ხანია მეფობს აგრესიული, ზიზლის პოლიტიკა და დღესაც ასე გრძელდება. ეკ-



ლესია კი სიყვარულისკენ მოუწოდებს. ადამიანები იწონებენ ამ ზიზლს და აგრესიას, თუმცა, ბოლოს ხვდებიან, რომ სიყვარულს ალტერნატივა არა აქვს. ჩვენი პოლიტიკა კი, კიდევ ვიმეორებ, სიძულვილზეა აგებული.

ჩვენი ჯარი პოლიტიკოსთა უფიცობის და ამბიციების მსხვერპლია დიდი ხანია და ეს პირტიტველა ბიჭები შესაცოდები არიან. ჯარის მიმართ სიყვარული სიბრალულიდან მოდის. მე ასე ვფიქრობ“.

ირმა შილაშვილი, პოეტი: „ეკლესიას ნდობას იმიტომ უცხადებენ, რომ ხალხს სულიერი საყრდენი სჭირდება, ჯარს კი იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანაში დაცულად იგრძნონ თავი“...

თამილა გურაშვილი, პარტია „თავისუფალი საქართველო“: „ეკლესიის ნდობა განპირობებულია იმით, რომ ქართველები ქრისტიანები, მორწმუნენი და ღვთის სიყვარულით გამსჭვალული ხალხი ვართ, ანუ გვწამს და გვიყვარს ღმერთი. ჯარისადმი ნდობას კი იწვევს — ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა და თითოეული მოქალაქის ცხოვრება და მშვიდობა უნდა დიცვას ქართულმა ჯარმა, ანუ ჯარის იმედი გვაქვს, რომ დაიცავს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას“.

თამარ კახელიშვილი

წარდგინება

„საქართველო უთარგმნელი ლექსია“...

„დღემანდელ“ „ლიბერასტებს“ რომ ვუსმენ, ან მათ ტექსტებს ვკითხულობთ, გრინგოლ აბაშიძის სტრიქონები მასწავლებს:

„სიბნელე, საქართველოს ცაზე დაძრულ, მაკმარე, ნუ მისევ ავსულებს, ნუ ცდილობ, სამშობლო შემაძულო, ვერ შემაძულებ“,-

ასე მიმართავს უსამშობლო ლიბერასტებს მკაცრად. გამომცემლობა „ინტელექტმა“ ახლანდელ დასტამბა მისი წიგნი „ჩანაწერები“, რომლის წარდგინებაც ურუნალ ჯგერინ მწერლობის „დარბაზში“ გაიმართა.

როსტომ ჩხვიძემ ჰემინგუეის „განუყრელ დღესასწაულთან“ გაველო პარალელი და აღნიშნა, რომ „ჩაძირული დღესასწაული“ სინრფელით, სიმალლით, სიღრმით არაფრით არ ჩამოუვარდება ჰემინგუეის განუყრელ დღესასწაულს. მისი თქმით, ჩანაწერები უნდა მარგინალურ ყანარად, მეორე და მესამე ხარისხის მოვლენად მიიჩნეოდა: „ჩანაწერს ყოველთვის ეტყობა, ყალბია თუ გულწრფელი, მაკა ყველაფერს წრფელად წერს“. მან მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „ინტელექტს“ „ჩანაწერების“ სერიის წამოწყებისთვის.

მია ჯალაია შვილმა აღნიშნა, რომ ეს წიგნი პიროვნულ ტკივილს, ერის ჭირ-ვარამსა და კაცობრიობის სატყვევარს გადმოსცემს. მაკა ჯოხაძე, როგორც კრიტიკოს-ხელმოწერი, ყოველთვის იყო და დარჩება ღვთის მძიებლად. მწერალი ნუსხს, კოსმოსს

ყველას აინტერესებს, ადამიანი აღარავისო.

წიგნში გაეცნობით უამრავ პიროვნებას, იმ ადამიანებს, ვისაც იცნობდა, ვისთანაც მწერალს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. აქ არის პარიზული დღიურები და უცხოელ მწერალ ქალთა სახეები. ასევე - დახატულია ოჯახური გარემო, აკაკი და ანუკი მინდიაშვილების პორტრეტები, შვილიშვილი - სანდრო.

ლევან ბრეგვაძემ გამოყო ორი სახის ჩანაწერები - ნატურიდან ჩანახატები და ნაფიქრი, ანუ რეფლექსიები, და ორი სხვადასხვა დამოკიდებულება გარესამყაროსთან: „მაკა ჯოხაძე არაჩვეულებრივი მხატვარია. ხატავს პორტრეტებს ადამიანებისას, რომელთაც ციცნობთ. გარემოც როგორაა დახატული? საერთოდ, ჩანაწერები ძალზე მრავლის დამტვივრებელია, ეს მცირე ჩანაწერები მრავალგვერდიან მოთხრობაზე უკეთ ამბობს სათქმელს. დაძაბული დრამატიზმით არც ერთ მოთხრობას არ ჩამოუვარდება ძენ კვებ მიბმული ჯვარი, ანუკიმ რომ დაკარგა და მერე იპოვა. ჯვრის დაკარგვის ამბავი ოჯახური ტრაგედიის რანგშია აყვანილი. დიდი მწერალი არაფრისგან ქმნის შედეგებს. ასეთი შედეგია ეს ჩანაწერი თავისი „ჰეფინგით“.

გიორგი გოგოლაშვილი: „ამ წიგნით სხვა მაკა დავინახე, ეს არის მადლი ამ ჟანრისა და ამგვარი წიგნებისა“.

მანანა გაბაშვილმა გამოყო მაკა ჯოხაძის ჩანაწერი ტელევიზიის მაგნიტობაზე „პომომედიუმი“. მან ტელევიზია ცისფერ სატანას შეადარა, შუა საუკუნეებში რომ ყოფილიყო ტელევიზია, საქართველო დღეს ვერ იარსებებდა, აღნიშნა ქალბატონმა მანანამ და წიგნის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი - თუ სულიერება არ იქნება, საქართველოს ვერც ეკონომიკით და ვერც ჯარით ვერ გადავარჩენთ.

ინგა მილორავეს თქმით, რომც არ იცნობდე, მისვდები, რომ ეს არის ნამდვილი ადამიანის დანერჩილი წიგნი, რომელიც გამოირჩევა ინტიმურობით და საზოგადოებრივი უღერადობის თანაბრად დაბალანსებული და თანაბარზომიერი შერწყმით.

იოსებ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერები ფილოსოფიური სიღრმის გარდა გამოსახვის საშუალებითაც გვხვდება. იგი შინაგანი ექსპრესიითა და სიღრმით ნათელი იანქოშვილს ჰგავს: „მაკა ჯოხაძეს, როგორც მხატვარს თავისი გამორჩეული ფერი აქვს - რეჰანისფერი“.

ცისანა კვინტრაძემ გაიხსენა როგორ აფასებდა მაკა ჯოხაძეს რევაზ ინანიშვილი: „რევაზ ინანიშვილის გარდაცვალების დღეს მის დასაფლავებაზე ერთად იდგა ცოდევა-ბრალით დამძიმებული, ორად გაჯეჯილი საქართველო. ამ დროს მაკამ გამოსათხვარი სიტყვა თქვა. „ღრუბელსაც თავისი სამ-



შობლო აქვს“... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ცრემლი ჩამოსდოდა“.

სიტყვით გამოვძინენ: რუსუდან ნიშნიანიძე, შალვა საბაშვილი, მურმან ჯგუბურია, ვახტანგ კომახიძე... დალილა ბედიანიძემ

ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მაკა ჯოხაძის „ჩანაწერები“ ეროვნული წიგნია, მწერალი ამ ძნელბედობით სავსე წლებში სულიერების გასაჭირს შიშველი ნერვებით ეხებოდა და გვეუბნებოდა, რომ ჩვენი სამშობლო არ გვიყვარს ისე, როგორც საჭიროა. რამხელა პოეზია და სიყვარულია ჩადებული სამ სიტყვაში: „საქართველო უთარგმნელი ლექსია“... და რამხელა იმედია: „როცა ილია და აკაკი გყავს, დაცული ხარ, შენი ხალხის ერთადერთსა თითქოს არაფერი ემუქრება. ეს იმასა ჰგავს, სიბერისა რომ არ გეშინია, სანამ დედა გყავს ცოცხალი“...

თამარ შაიშვილაშვილი

წარსულიდან

რას წერილობა შემოინახეს...

შურნალ „აბერ-იმერელი“ 2013 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატია „კორნელი კეკელიძე და იოსებ სტალინი“ (გვ. 293-300), სადაც წაჩვენებია, ამ ორ უდიდეს მოღვაწეს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა ყმანვილ კაცობისას, 1894-1898 წლებში თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში ერთად, ერთ კურსზე, სწავლისას და შემდგომ ცხოვრების მთელ მანძილზე. ამ ურთიერთობას ესება და ნიშანდობლივ ცნობებს გვაწვდის თანაკურსელ სემინარიელთა ერთმანეთთან მიმოწერა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კორნელი კეკელიძის არქივშია შემონახული. დავიმოწმებთ იმ ადგილებს, სადაც ი. სტალინიცა საუბარი.

მათი კურსელი ყოფილა თელაველი მიხეილ (მიხაკო) ელიზბარაშვილი, რომელიც 1942 წელს გარდაცვლილა. მის ოჯახში დაცული ბარათები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის გადაუცია თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე ცნობილ ენათმეცნიერ ალექსანდრე გვერცხაძეს (საბუთი № 804).

ამ მიხეილს 1938 წლის 4 ივნისს ხაშურში მცხოვრები და სურამში ბუღალტრად მომუშავე თანაკურსელი შაქრო ხვადაგაძე ხაშურიდან სწერს: „...უსათუოდ უნდა ვინახულო ის არემარე (თბილისი - ბ. ჯ.), სადაც ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარე. როგორც შენ იწერები, მართალია, მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, მაგრამ მოწაფეობას თავისებური კარგი მხარეებიც ჰქონდა, რომლებსაც მაშინ ჩვენ ვეწვეოდით. ჩვენი კურსი, რომელიც ყოველმხრივ მძლავრი იყო და რომლისთანაც შედეგში თბილისის სემინარიას არ ახსოვს. მართალია, სხვადასხვა მიზეზებით ჩვენ ჩამოვრჩით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ კურსიდან ისეთი ისტორიული პიროვე-

კორნელი კეკელიძისა და მისი თანასამართლებელთა მიმოწერა იოსებ სტალინის უხასხას

ნება მოველინა კაცობრიობას, რომლითაც ჩვენ უნდა ვიამაყოთ. გახსოვს ჩვენი ქართული ხორო, სოსოს წკრიალა ტენორი, სიმღერათხმნიანი „შევსვით ხელადით ღვინო“ და სხვები. ასე მგონია, რომ მოვიგონებ, გუშინ



№ 1. კ. კეკელიძის თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა ერთი (მიხეილ ჩაგმა ხარკნიდან მერე 1894-1898 წწ.)

იყო ეს ყველაფერი-მეთქი. ჩვენმა სემინარიამ (...) ბევრი საზოგადო მოღვაწე მისცა ხალხს. კორნელი კეკელიძეც რომ გახსოვს, ახლა რომ ბროფესორია.

(...) ჩვენი ამხანაგობა აქ ბევრი არავინ არის. პეტრე კაპანაძე არის, ვარგად ცხოვრობს. სოსომ ძალიან დახმარება გაუწია ფულით და უმეტესად ყი ისე ახწია მისი ავტორიტეტი, რომ ახლა ყველა ანგარიშს უწევს, ბერბასთან ისე შედის, როგორც თავის სახლში. თბილისში ბინა მისცეს, მაგრამ თითონ არ წავიდა, შვილს დაუთმო თბილისის ბინა...“ (№ 797).

ი. სტალინის მიერ თანაკურსელ პეტრე (პე-

ტა) კაპანაძისადმი პატივისცემის შესახებ შაქრო 1939 წლის 6 აპრილს იმავდ მიხეილს ატყობინებს: „ამ ორი დღის წინეთ ვნახე პეტრე. მოსკოვიდან მარტის გასულს ჩამოვიდა. ორი თვე იყო მოსკოვში, თითონ სოსომ დაიბარა. იქიდან კაცი ჩამოვიდა და წაიყვანა. მისი ზოგზაურობის მიზანი ჩვენთვისაც საიდუმლოა...“ (№ 799).

ამ ბარათებში საუბარია აგრეთვე ი. სტალინის დაბადების 60 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად თანაკურსელთაგან მისადმი მიხალმების ტექსტის შედგენასა და გაგზავნაზე. შაქრო ხვადაგაძე 1939 წლის 4 დეკემბერს იმავე მიხაკო ელიზბარაშვილსა სწერს: „საჭიროა ვიცოდეთ, რომელი რიცხვში იქნება მისალმების ტექსტი, რომ ხელი მოვანერო მეც. რიცხვი რომ მეცოდინება, შევებულებას ავიღებ ერთი ორი დღით და ჩამოვალ“ (№ 800).

მისალმების ტექსტის თაობაზე თავად კორნელი კეკელიძე მიხეილ ელიზბარაშვილისადმი 1939 წლის 3 სექტემბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „რაც შეეხება შენს შეკითხვასა და აზრს „60 წლის იუბილეს“ შესახებ, სასურველია, რითიმე გამოხმაურება, თუ ამის ნებას მივცემთ. ყოველ შემთხვევაში, ეს საქმე, მისი ინიციატივა, უნდა იკისრონ მასთან დაახლოებულმა პირებმა, რომელთანაც არც შენ მიწერ-მონერა გქონია“ (№ 792).

აქ აშკარად ჩანს ბატონი კორნელის სიფროსილი!

1953 წლის 4 აპრილს კორნელი კეკელიძე ი. სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თანაკურსელ ნიკოლოზ კანდელიაკს სამტრედიისში სწერს: „... რამდენი დიდი ამბების მოწამენი შევიქენით, კაცო, ამ წელში წავიდა, ჩვენი შკოლის ამხანაგი, საქართველოს დიდება და მთელი ქვეყნის იმედი, ჩვენი სოსო. დაუდგა თვალი სიკვდილს, ამის შემდეგ რაღა უნდა გაგიკვირდეს იმისაგან?..“

პორის დარჩიბა

შეზღობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRPII)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააგენტოშილი გზების დეპარტამენტი ქვეყანა: საქართველო პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRP II/CS/QCBS-03

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: მცხეთა-შიო მდებრის მონასტრის კმ5-კმ11 და კიათურა-პერევისა-სეგვი-თვალეთი-გეზრული კმ8-კმ22 საგზაო სექციებზე ტექნიკურ-გეოლოგიური დასაბუთების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, პროექტირება-შენიშვნების კონტრაქტისთვის, მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის ფარგლებში (SLRPII)

ტენდერის სახეობა: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა კონტრაქტორი: ერთობლივი საწარმო შემდგარი „კოქს კონსალტ გმბჰ“ (მთავარი პარტნიორი) და „საპროექტო და საკონსულტაციო კომპანია შ.პ.ს. „ბითი“ (წევრი პარტნიორი)

მისამართი: „კოქს კონსალტ გმბჰ“ შტაგემანის ქუჩა №32-38 -56068 კობლენცი, გერმანია და „საპროექტო და საკონსულტაციო კომპანია შ.პ.ს. „ბითი“ კოსტავას ქუჩა - გვერდითა ქუჩა №1, შენობა №7, თბილისი, საქართველო.

კონტრაქტის ღირებულება: 425,553.89 ლარი

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 4 (ოთხი) თვე

Contract Award Notification

Project Name: Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia Country: Georgia Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRP II/CS/QCBS-03

Scope of Contract: PREPARATION OF FEASIBILITY STUDY AND BIDDING DOCUMENTS FOR DESIGN-AND-BUILD CONTRACT FOR REHABILITATION OF SECONDARY MTSKHETA-SHIO MGVIME MONASTERY km5-km11 and CHIATURA-PEREVISA-SVERTVALUETI-GEZRULI km8-km22 ROAD SECTIONS UNDER THE SECOND SECONDARY AND LOCAL ROADS PROJECT (SLRPII)

Bid type: Quality and Cost Based Selection

Contractor: JV composed of KOCKS Consult GmbH (leading partner) and Designing and Consulting Company BT Ltd. (member partner)

Address: KOCKS Consult GmbH, Stegemann Str. 32-38 D-56068 Koblenz, Germany and Designing and Consulting Company BT Ltd., 11 Kostava Street - Side Street #1, Building #7, Tbilisi, Georgia.

Total contract cost: 425,553.89 GEL

Contract duration: 4 (four) months

კალათბურთი

რა საჭიროა ჩამოსვლა?

ანუ გაუმარჯოს ვიდეოს!

მშობლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე ორი თვით ადრე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტიანიამ ეროვნული ნაკრების თავკაცის ასისტენტებთან — დავით უსტიაშვილთან და კოტე ტუღუშთან ერთად პრესკონფერენცია მოიწვია და „ჯგეროსანთა“ სამწვრთნელო შტაბსა და გუნდის საჯარო შემაჯგებელ ბაზაში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა.

რიკი პიკმანი. დაიბადა 1985 წლის 1 სექტემბერს. სიმაღლე — 188 სმ. წონა — 88 კგ. პოზიცია — უკანასაზღვლი.

ამერიკის სტუდენტურ ლიგაში 2003-2007 წლებში იცავდა „გრინსბროს“ ლირსებას, ხოლო ევროპაში გადმოხარების შემდეგ პროფესიული კარიერა რუმინეთის „ოტოპენში“, გერმანიის „გიოსენში“, ფინეთის „ნამიკაში“, იტალიის „მონფერატოსა“ და „სკავოლინიში“, აგრეთვე ისრაელის „მაკაბიში“ გაწაგრძო.

საკმაოდ შედეგიანი მცველი ევროლიგის განვლილი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო უკანასაზღვლი იყო და ტოპ-16-ის მესამე ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. სწორედ ჰიკმანის დიდი ძალისხმევით გააღწია თელავის „მაკაბი“ ევროლიგის 8 საუკეთესო კლუბში, სადაც ოთხთა ფინალისკენ საპლეიოფო სერიაში გზამდრიდის „რეალმა“ გადაულობა — 1:2. საგულისხმო ფაქტი: 2011 წელს „სკავოლინი“ წევრობისას, მან იტალიის „სერია-ა“-ს ყველა ვარსკვლავის მატჩში ითამაშა.



დაიხ, თუ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მესაჭეს თემურ ქეცბაიას სამშობლოში ხანმოკლე — წელწანად დაახლოებით სამთვიანი საქმიანობის გამო ვსაყვედურობთ და ლამის ტორსტად მივიჩნეთ, მაშინ რაღა უნდა ითქვას მისი ბალკანელი კოლეგის მართლაცდა მოღანდებასავით გამოჩენაზე, რომელიც, არც მგზი, არც ნაკლები ვიდუფირებით ეცნობა ნაკრების კანდიდატთა თამაშებს და არჩევანსაც ძირითადად მათ მიხედვით აკეთებს. როცა ფედერაციის შეეს შესაბამისი კითხვა დაუვუსცა, ასეთი პასუხი მივიღე: „მოგესვენებათ, კოკოშკოვი ოკეანის გაღმა ნაბა-ს ერთ-ერთ კლუბს ავარჯიშებს, ამიტომ მისი გრაფიკი მნიშვნელოვანწილად იქაური სეზონის ხანგრძლივობაზე დამოკიდებული, რომელიც ხშირად მისი იგნისამდე გრძელდება, პლეიოფებში წინსვლის გათვალისწინებით. ნურც წმინდა ადამიანურ ფაქტორს გამოვიყენებთ — ასეთი მომქანცველი ბატალიების შემდეგ ხომ განტვირთვისთვის მინიმუმ 20-დღიანი დასვენება საჭირო?

ლიკი პიკმანი. დაიბადა 1987 წლის 7 აპრილს. სიმაღლე — 211 სმ. წონა — 111 კგ. პოზიცია — მიმე ფორვარდი (ცენტრი).

ტრადიციული საკალათბურთო ოჯახის (მშობლების გარდა) მისი ტყუპი ძმებიც კი ნაბა-ში თამაშობდნენ) წევრი 2005-2009 წლებში სტუდენტურ ლიგაში, „ნორტ დამის“ მისურით ოსტატდებოდა, ხოლო პროფესიულ კარიერაში მოკრძალებულ პირად სტატისტიკას შემდეგ გუნდებში მოუყარა თავი. „შიოგა“ (იაპონია), „ნაგლისი“ (ლიტვა), „ბეიკერსფილდი“, „ოსტრ ტროლსი“ და „ფინიქს სანზი“ (სამივე — აშშ).



დავქენთ, რომ ჰიკმანთან და ზევარსკვლავის მატჩში ითამაშა. ლევთან შეთანხმებამდე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა შემდეგ მოთამაშეებთან: შონ ჯეიმილი („მაკაბი“), პოლ დევისი („ხიმიკი“), ლემონ ჰამილტონი („ბილბაი“), ჯონ ბრაიანტი („უდმი“), კურტის ჯერელსი („ბეშიქთაში“), სონი ვიშის (ცსკა), ჯორდან ფარმარი („ეფესი“), ბობი ბრაუნი („მონტე პასკი“).

გაფართოებული ვიდეოგამოცემა

ბიორბი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, მანუჩარ მარკოვიჩი, ბესო ლეჟავა, დუდა სანაძე, რევაზ როგავა, მერაბ ბოქლონიშვილი, ბექა ჩიკვილაძე, რიკი პიკმანი, ანატოლი ბოისა, თორნიკე შენგელია, ლევან ფაცაცია, ვიტორ სანიკიძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ბექა ბურჯანაძე, ნიკა მეტრეველი, გიორგი შერმაინი, რიჩარდ მათიაშვილი, გიორგი შარაბიძე, ლიუკ ზელერი.

ამ ოცეულიდან სლოვენიაში წამსვლელი 12 რჩეული 11 საკონტროლო მატჩისა და შემდეგ შეკრებების შემდეგ გამოვლინდება: თბილისი, სლოვენია, იტალია, საფრანგეთი, ისრაელი, ლიტვა.

ბიკ ალბანოვიჩი

ადამიანი დროში


ჭაბუკობის ბედმა არ გაუღიმა — ნიჭიერ ფალავანს წონაში კონკურენტად რომან რურუა არგუნა, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. ამის მიუხედავად, სენაკელმა „კლასიკოსმა“ ვლადიმერ კანკავამ, რომელსაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სახელგანთქანი მწვრთნელის — კარლო ჯოჯუას სკოლა ჰქონდა გაველილი, სამჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, თითოჯერ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა და საბჭოთა კავშირის სტუდენტური თამაშები მოიგო, 1965 წელს საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაზე, ორი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მეორე ადგილები დაიკავა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობაც მიენიჭა. აღმავლობის გზაზე მდგარს ფორტუნამ უმტყუნა — მუნდის მიმე ტრავმა მიიღო და ხალიჩას ჩამოშორდა, თუმცა ვმანვილკაცობის არჩევანისთვის უხურგი არასდროს შეუქცევია. პირის ტრიალებდა და უფრო მეტადც გაიცნო სპორტულმა სამყარომ უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი მამულიშვილი, რომელიც ყურადღებას არავის აკლებდა და სიყვარულს იმიტომ მუდამ სიყვითის მოესვენდა.

დიდი გზა განვლო ვლადიმერ კანკავამ: სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ ინსტრუქტორობით დაიწყო. მერე იყო ჭიდაობის სახეობებში სახელმწიფო მწვრთნელობა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორობა, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეობა. სხვადასხვა დროს ბატონი ვლადიმერი მუშაობდა თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსად, დედაქალაქის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარედ, ფალავანება მოჭი-

თაობა

მაგალითის იკლავა ნორჩი კაპიტანი

ამბს წინათ თბილისის ჭადრაკის სახანლეში სახელოვანი მწვრთნელის — ვანტანგ ქარსელაძის ტრადიციული მეგობრული გაიმართა. 10-წლიანეში გუნდური პირველი ადგილი თბილისის მოსწავლთა სახანლის საჭადრაკო კლუბ „ნტს“-ის გუნდმა დაიკავა (მწვრთნელი დიდოსტატი დავით გურგენიძე), რომლის შემადგენლობაში სამი ბიჭი და ერთი გოგონა გამოდიოდა. ის ერთი გოგონა 9 წლის სალომე ურთქმელიძე იყო, რომელიც ვაჟებმა კბიტანდა აირჩიეს. მანაც შემართების მაგალითი მისცა თანაგუნდელებს — გადამწყვეტ პაექრობებში ყველა პარტია მოიგო და მნიშვნელოვანი ქულები მოუტანა პარტნიორებს.



„კლასიკოსის“ გზა

დავეთა საზოგადოება „რაინდის“ პირველ თავკაცად აირჩიეს. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ამჟამად ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოებულია „ღირსების ორდენითა“ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მედლით. — ჩემს კარიერაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორობას, — იხსენებს ვეტერანი ფალავანი. — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრასთან კოორდინირებული მუშაობით სკოლაში შექმენი ჭიდაობის განვითარების ერთიანი სისტემა, უფრო სწორად — ცენტრი, სადაც ლექციების წასაკითხავად მოვიწვიეთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — ანატოლი კოლესოვი, ვიტორ იგემენოვი, გენადი საპუნოვი, ვიქტორ ბორისოვი, ვილას ვიცე-პრეზიდენტი სიმინი და სხვები. ალბათ, ამის შედეგად იყო, რომ

ქართველმა მოჭიდავეებმა წარმატებები ამრავლეს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

— ქართველ „კლასიკოსთა“ 1973 წლის გამარჯვების დავიწყებად არ ერგების...

— გეთანხმებით. ზუსტად ოთხი ათეული წლის წინათ საქართველო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა საბჭოთა კავშირის თასის ფინალში რუსეთის ფედერაციის ნაკრებს სძლიეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მაშინ სახელმწიფო მწვრთნელად ვმუშაობდი და იმ გამარჯვებაში, ტრამაზად თუ არ ჩამოთვლით, ჩემი მცირეოდენი წვლილიცაა...

ასეთი „მცირეოდენი“ წვლილები ვლადიმერ კანკავას ბევრ რამეში აქვს შეტანილი: კუს ტბის ტერიტორიაზე საქართველოში პირველი სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსის, სენაკში, აბაშასა და ლენტეხში ჭიდაობის სპეციალიზებული სასპორტო დარბაზების მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი ბატონი ვლადიმერი გახლდათ. გასული საუკუნის 90-იანი წლების მიმე პერიოდში შექმო თბილისში სპორტული ცხოვრების შენარჩუნება, სახელოვანი ფალავანების — გივი კარტოზიას და ვანტანგ ბალავაძის სახელობის, ასევე, ძიუდოს „ა“ კატეგორიის ტურნირების აღდგენა; ბატონი ვლადიმერი უშუალო ძალისხმევით რამდენიმე სახელოვან სპორტსმენს სოციალური პირობები გაუუმჯობესდა... ვლადიმერ კანკავას მამულიშვილი საქმეების ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა. ერთს დავქენ მხოლოდ — იგი ახლაც აქტიურად არის ჩაბმული სპორტის ფერხულში: ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს საქმეებს რა გამოუღევს. ისიც ჭაბუკური შემართებით იღვწის, არადა, დღეს მას 70 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვლადიმერ!

ვაჟა ნოსირაღი

წლევულს ორი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ქარსელაძის მეგობრული უკვე გითხარით. „კაისას“ თასის გათამაშებაშიც პირველი იყო. 10-წლიანთა თბილისის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, თანატოლთა შორის დედაქალაქის თასზე ეკა ფიფიასთან ერთად შევიდი შესაძლებლიდან 6-6 ქულა მოაგროვა. უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ერგო.



ვანტანგ ქარსელაძის მეგობრული დასრულება ბის შემდეგ ჩემპიონთა ნორჩ კაპიტანს გავესაუბრე: — ჭადრაკის გარდა, სპორტის რომელი სახეობები გსიბღავს? — ცურვა და ჩოგბურთი. ჩემი ბიძაშვილები მ ჩოგბურთელები არიან და მათ ველოვებო. — კერძო თუ გვაგავს? — ნონა გაფრინდაშვილი. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი საქართველოში ყველათვის მისაბაძია. — რა გიტყვებ? — სიმღერა და მუსიკა. ხელოვ-

ნების ინსტიტუტთან არსებული სამედიცინო სკოლის მეოთხე კლასში ვარ, ფორტუპიანოზე ვუკრავ. — პიბი? — წიგნების კითხვა. ვაჟა-ფშაველას და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მინის ძალიან. — რაზე იყენებო? — ხუთ წელიწადში დიდოსტატი მინდა გავხდე. ვეცდები, ოცნება რეალობად ვაქციო.

ესაუბრა ვაჟა დანელია

ჭიდაობა

საფინალო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

სკოპიეში (მაკედონია) დასრულებულ ახალგაზრდა მოჭიდავე ევროპის პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების წევრებმა ასპარეზობის ბოლო დღეს ორი მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მიმეწონოსანი იაკობ ქაჯაია ავიდა. ფინალამდე მივევ ორთაბრძოლას ერთად სამ წუთამდე მოანდომა: სლოვაკი დავით ცენი 7:0 დაამარცხა, რუმინელი ტიბერეიუ ალექსანდრე ბარბაზანი ბექტები გააკრა ხალიჩას,

ბელარუსის სახელით მოასპარევე გიორგი ჩუგოვილსაც სუფთად აჯობა — ხალიჩაზე ზედიზედ ხუთჯერ დაატრიალა. ერთ წუთზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა ფინალში ლიტველ მანტას კნისტაუტასის დასამარცხებლად. ახალგაზრდებში შარშანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზი (84 კგ) სტარტამდე იოლად სძლია თურქ გიოკტაშ დოგანს, მაგრამ მეორე წრეში გერმანელ დენის მაქსიმალის კუდლასთან წაავა. რადგანაც გერმანელი ფი-

ნალში გავიდა (ჩემპიონიც გახდა), ქართველი ფალავანი სახელოვანად გადართო და იქ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა: ზედიზედ აჯობა გუდ ბერგ ზაკრიისს, რუს ილია მუდეივს და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ქართველმა „კლასიკოსებმა“ სკოპიეში ორი დღის განმავლობაში ხუთი ჯილდო მოიხვეჭეს: ზემოაღნიშნული „ოქროსა“ და „ბრინჯაოს“ გარდა, ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენს ნაკრებს ირაკლი შვაბაძემ (50 კგ) ვერცხლის, ხოლო ლაშა გობაძემ (74) და გენადი კირცხალიამ (96) ბრინჯაოს მედლები შესძინეს.

ლაშა დიღია

დედაქალაქი

მზსომს, ჯერ კიდევ სივრცეში, როცა დასასვენებლად წასული ოჯახი მამამ სადილად რესტორანში შეგვიყვანა და მე რაღაც თევზეული მოვიტხოვე, მან ჩემი „შეკვეთა“ გააუქმა და მითხრა: დაიმასხოვრე, წლის იმ თვეებში, რომელთა დასახელებაც ასობგერა „არ არ ურევია, თევზის ჭამა სასურველი არ არის.

მაშინ ამ ერთგვარი „ტაბუს“ არსს კარგად ვერ ჩავეხვედი, მაგრამ მერე ეს ამბავი ქვირითის დაყრის პერიოდს და კიდევ ამ პროდუქტის სიცხეში ადვილად გაფუჭების თავისებურებას დაეუკავებოდა და სავესბიტოც გავიზიარე. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი გაცოცხება, როცა ამ ორიოდ დღის წინათ თბილისის ცენტრში „დეზერტირების“ ცნობილი ბაზრისკენ გავიარე თამარ მეფის პროსპექტის მხრიდან (აქვე ვიტყვი, რომ ბაზარში, ფაქტობრივად, არ დავდივარ, რადგან საქრო სურსათის შექმნა უბანში, აგრარული პროდუქციის სპეციალიზებული მაღაზიებში შეიძლება, ფასებში განსხვავება კი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მის შესაძენად წასვლა-წამოსვლა ნამდვილად არ მიღირს). ჰოდა, იმედი მაქვს, ბატონებო, რომ აღმოვაჩინებთ ადვილად გამიგებთ, როცა ვი გრადუსს კარგად გადავიღებულ სიცხეში, ტროტუარის მტვერსა და აუარება ავტომობილების გამოწვევით, დახლებზე მოლურჯო-მომწვანო თევზები ვნახე! თუმცა, მარტო თევზი რას მიქვია – ამ სრულიად აუტანელი ანტისანიტარის პირობებში ყველა ის საქონელი იყო გამოფენილი, რითაც საერთოდ აგრარულ ბაზრებში ვაჭრობენ: მწვანილი, ნაირ-ნაირი ხილი, ბოტანული, ხორცი, რძის ნაწარმი...

ასე პირობებში, ცხადია, ჯანმრთელობისთვის სახიფათო არა მარტო თევზეულია, არამედ ელემენტარული მწვანილიც კი! თანაც უბედურება ისაა, რომ გარეთ, ტროტუარზე ათასნაირი სურსათი პასაჟში განთავსებულ სპეციალიზებულ მაღაზიებსაც აქვთ გამოტანილი, რომლებიც, სხვებს, ასე ვთქვათ, „არაორგანიზებულ“ მოვაჭრეებს თავი რომ დავანებოთ, უბრალოდ ვალდებულნი არიან დაიცვან ვაჭრობის წესები, მაგრამ ვინაა მომკითხველი!...

ციოტა ხნის წინათ ამ მტკივნეულ თემას ერთერთ საგაზეთო პუბლიკაციაში შევეხე კიდევ – მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ვაჭრობის ელემენტარული წესების დაცვაზე პასუხისმგებელი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური წინა ხელისუფლებამ ისე გააუქმა, არც სპეციალისტების აზრი უკითხავს, არც, მით უმეტეს, მოსახლეობის და ახლა ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული.

რაც უფრო მეტად მივუახლოვდი ბაზრის ტერიტორიას, გარემოვაჭრეთა რიცხვებში იმატა და სიბინძურეც მაც. სხვა საქმეზე კი მივდიოდი, მაგრამ უურნალობის ტონი ცნობის მოყვარობამ დაძლია და ბაზრის დირექციას მივამოხურე. თუ „დეზერტირის“ ეზოში თითქმის ყველა დაკავებული იყო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დატვირთული, მანქანებიდან საბითუმო ვაჭრობაც იყო გაჩაღებული, მეორე სართული, სადაც ხორცი, ყველი და თევზი იყიდება და სათანადო მაცივრებიანი დახლებითაა განწყობილი, ფაქტობრივად, სიცარიელე იყო. აქ მოვაჭრეებს მყიდველი თითქმის რომ არ ჰყავდათ, ეს კიდევ უფრო თვალსაზრისით მესაჩუქრებდა. სადაც ბაზრის დირექციის წარმომადგენლებს გავსაუბრე. პირველი, რითაც დავიწყებდი, ბაზარში მოვაჭრეთათვის დადგენი-



თავისი საქონლის გვერდით ათევს. ალსანიშნავია, ისიც, რომ ბაზარში შესული მოვაჭრეებიც კი ხშირად ისევე იქცევიან, როგორც წლების მანძილზე „გარემოვაჭრეობის ხანაში“ მიეჩვენებოდა: იქაც კი საქონელს დახლებზე კი არა, პირდაპირ... იატაკზე აწყობენ, თუმცა, სავაჭრო გადასახდელს მაინც უხდიან ადმინისტრაციას (??). ამის თაობაზე დირექციაში აცხადებენ – ვერაფერს ვუხერხებთო, თუმცა კი, ეს გასაძირთლებელ არგუმენტად ნამდვილად არ გაამოდგება – რას ნიშნავს, ვერაფერს უხერხებენ? არანაირად არა ვართ დრაკონული წესების მოხრე, მაგრამ მტკიცედ მსამს, რომ სანიტარული ნორმების დაცვა, ვაჭრობის ნორმალური პირობების შექმნა როგორც გამყიდველისთვის, ისე მყიდველისთვის ბაზრის ადმინისტრაციის უწინარესი ამოცანაა.

პაპანაძე სიცხეში ამ თევზს რა გაჭმევთ, ბატონო!..

ძუჩაში, მტვერში იყიდება ბოსტნეულ-ხილეულ-ხორციული, ბაზრის კეთილმოწყობილი დარბაზები კი, ფაქტობრივად, ცარიელია. რატომ?

ლი სავაჭრო ადგილის დღელაშური გადასახდელის ოდენობა იყო. თურმე, მაცივრისი დახლის ქირაობა დღელაშეში თხუთმეტი ლარი (ფაქტობრივად, ერთი კილოგრამი ხორცის საფასური) ღირს. საქონელი, რომელიც გამყიდველს ერთ დღეში არ გაუყიდება, იმავე დახლის ქვეშ, მაცივარში ინახება, პროდუქციას კი, სათანადო სათვალთვალო ვიდეოკამე-



რებით აღჭურვილი ბაზრის დაცვა ყარაულობს. სიმართლე გითხრათ, ფასი ცოტა მეტირია, მაგრამ როგორც დირექციაში განმარტეს, ელექტროენერჯის ყოველთვიური ანგარიში დაახლოებით 15 ათასი ლარია, რომლის გადახდა უჭირთ, რის გამოც თანამშრომლებს ხელფასიც კი თითქმის გაუწახვევს. შემდეგ ბაზრის პირველ სართულზე სავაჭრო ადგილების დღელაშური გადასახდელი თან დაეინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ იქ გარკვეული დივერსიციაც არსებობს უფრო ხელსაყრელი და ნაკლებად მოსახერხებელი ადგილმდებარეობის და მიხედვით, ბაზრის შესასვლელში ადგილები უფრო ძვირია – დღელაშეში 15 ლარი, „ისე რა“ ადგილებში კი 3-5 ლარი იხდებიან. გაუყიდავი საქონლის პრობლემაც ისევე წყდება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ: მას ადგილებზე ტოვებენ და მასზე პასუხისმგებლობა ბაზრის დაცვას აკისრია, ვისაც სურს, წლის თბილ დროს ღამეს თავადაც

ნავს, ვერაფერს უხერხებენ? არანაირად არა ვართ დრაკონული წესების მოხრე, მაგრამ მტკიცედ მსამს, რომ სანიტარული ნორმების დაცვა, ვაჭრობის ნორმალური პირობების შექმნა როგორც გამყიდველისთვის, ისე მყიდველისთვის ბაზრის ადმინისტრაციის უწინარესი ამოცანაა. მაგრამ ჩემი მთავარი ინტერესი მაინც გარემოვაჭრეთა საკითხის გარკვევა იყო – მაინც რატომ არ შემოდიან ბაზრის ტერიტორიაზე-მეტეი, ვიკითხე ადგილობრივ ადმინისტრაციაში. – ჩვენც სულ მაგის გარკვევას ვცდილობთო, – მიპასუხეს, ზოგირით ხსნის ამას, ზოგიც რით. ბევრს სავაჭრო ადგილში თანხის გადახდა არ სურს, ბევრიც მუდმივი მუშტრისთვის ნაცნობი ადგილის დათმობას შიშობს, ზოგსაც, უბრალოდ, ასე ურჩევია, მოკლედ, ვინც რა ჭკუაზეა, ისე იქცევა. არადა, ამ ვითარებას გარემოვაჭრეები წლების მანძილზე მიეჩვენებენ, როცა ახლანდელი კეთილმოწყობილი (წყლით, საპირფარეოთა, სათანადო დასუფთავებით და ა.შ.) ბაზრის შენობის ადგილზე ერთი უზარმაზარი სანაგვე ორმო იყო. მაშინ მისი გამოსასვლელიდან ხელმარჯვნივაც და ხელმარცხნივაც, წინამძღვრიშვილის ქუჩის გადაღმაც ახალი აგრარული ბაზრები სპონტანურად წარმოიშვა და ახლაც წარმატებით ფუნქციონირებს, თუმცა კი, სანიტარული მდგომარეობა იქაც ისეთივეა, როგორც ქუჩაში. კითხვაზე, თუ ვის ეხება ამ სანიტარული-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით კატასტროფულთან მიხლოებული ვითარების მოწესრიგება, ბაზრის ადმინისტრაციაში მიპასუხეს – მერიის დაახლოებით 15 ათასი ლარია, რომლის გადახდა უჭირთ, რის გამოც თანამშრომლებს ხელფასიც კი თითქმის გაუწახვევს. შემდეგ ბაზრის პირველ სართულზე სავაჭრო ადგილების დღელაშური გადასახდელი თან დაეინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ იქ გარკვეული დივერსიციაც არსებობს უფრო ხელსაყრელი და ნაკლებად მოსახერხებელი ადგილმდებარეობის და მიხედვით, ბაზრის შესასვლელში ადგილები უფრო ძვირია – დღელაშეში 15 ლარი, „ისე რა“ ადგილებში კი 3-5 ლარი იხდებიან. გაუყიდავი საქონლის პრობლემაც ისევე წყდება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ: მას ადგილებზე ტოვებენ და მასზე პასუხისმგებლობა ბაზრის დაცვას აკისრია, ვისაც სურს, წლის თბილ დროს ღამეს თავადაც

ოთარ ტურაბელიძე

სსოვნა

ნათელა ბერიძე-ბერიძე-ბერიძე

დღეს ჩვენი უსაყვარლესი მეგობრის გია მახარაძის დედას ნათელა ბერიძეს ვეხსოვებით. 40-წლიანი მეგობრობის მანძილზე მშობლები ყოველთვის ჩვენი სამეგობროს უპირველესი გულშემატკივრები და დასაყრდენი იყვნენ. ერთმანეთის მშობლებთან ურთიერთობებით, მათი ცხოვრების მაგალითებით ვიზრდებოდით და ვცალიბდებოდით. ამიტომ თითოეულ მათგანთან გამოთხოვებისას თითქოს ჩვენი წარსულის რაღაც ნაწილს ვკარგავთ. მრავალი თაობის აღმზრდელი, დიდი ოჯახის ღირსეული დედა და ბებია, დარბაისელი, კეთილშობილი ქალბატონი გულის სითბოს ჩვენც უშურველად გვინანილებდა და სწორედ ეს სითბო დაგვრჩება ნათელ მოგონებად.



გოდირაძე პაპია, ზურაბ ერეკლავი, გურამ ახალაია, თამარ კახარაძე-ბერიძე, მანანა აბაშიანი, მარინა მიქაბია, ლილა ბრეკელი, მანანა ბაქრაძე-ხარაბაძე, დამირ კუჭავა, პინა სონდუღაშვილი, ნუზარ ლომია ოჯახი.



საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის გამგეობა, თანამშრომლები და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მხატვარი **გორის (გორია) ტულუში** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის გამგეობა, თანამშრომლები და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვანლმოსილი თანამშრომელი, მხატვარ თამარიკო კუპრაშვილის დედა **თინა კუპრაშვილი** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდი თანაუგრძობს და სამძიმარს უცხადებს ფონდის თანამშრომელს მაკა სატიანეშვილს მამის **ვალერიან სატიანეშვილის** გარდაცვალების გამო. საპარტიველო კულტურის ფონდის თანამშრომლები.

ალიან-ჩალიანი

„თბილისის მიკროავტობუსი“ საბანდარო პირობებს არღვევს

საპრემიუმო თაგმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშიამ თბილისის მუნიციპალურ და სამარშრუტო ტაქსებში შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. როგორც ჯაბა სამუშიამ განაცხადა, თბილისში ჩატარებული სამარშრუტო ტაქსების ტენდერის თანახმად, გამარჯვებულ კომპანიას აუცილებელ პირობად კონდიციონერების სისტემის გამართული მუშაობის ვალდებულება ჰქონდა ჩადებული.

– ზაფხულის ცხელი დღეების მიუხედავად, სამარშრუტო ტაქსებში კონდიციონერების სისტემა გამართულია, რაც პირდაპირ ნიშნავს სატენდერო პირობებისა და მერიის მიმართ აღებული ვალდებულებების დარღვევას კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ, – განაცხადა სამუშიამ.

ჯაბა სამუშიამ თქმით, მას ბოლო დღეების განმავლობაში, აღნიშნული პირობებით შეწუხებულმა ათეულობით მოქალაქემ მიმართა. საკრებულოს თაგმჯდომარის მოადგილე აფრთხილებს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“, სასწრაფოდ გამოასწოროს აღნიშნული პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯაბა სამუშიამ აპირებს მიმართოს მერიას, რათა გაუქმდეს კონტრაქტი „თბილისის მიკროავტობუსთან“.

უს-მ უკანონო იარაღი აპოილო

უს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ წასამართლვე ორი პირი: 1993 წელს დაბადებული რომან ნ. და 1993 წელს დაბადებული ირაკლი ქ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა რომან ნ. თბილისში, გამსახურდიას ქუჩაზე დააკავეს. მისი პირადი ჩრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდით და 6 ვაზნით ამოიღეს. ირაკლი ქ. კი ბერბუკის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. მისი ბინიდან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდი და 6 ვაზნით ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

პოლიტიკა

დრო, დრო აღნიშნა!

გვიტონრას სენატმა!

სამართალმა რომ პური ჭამოს... (ნუთუ მომესმა?!)

დემოსს დემონი სისხლისმსმელად ვინც მიუსია, გვეუბნებიან:

მონოდებები ხშირად ისმის დაუჯერებელი: -მეველები დარჩენ განუსჯელნი, დაუსჯელები!

მოკლეს შარაძე, ვისზეც ითქვა: კაცი - ხატიო! რობაქიძეც და გირგვლიანიც ვის ვაპატიოთ?

სხვაც უამრავი გვედარდება და მიგვაქვს გულთან, როცა სახელი შეურაცხვეს გმირ დაღუპულთა.

მიტომაც გვიკვირს, დიდ სამართლეს რომ უღალატა მეგობარ ქვეყნის კონგრესმენტა ქვედა პალატამ?

- ცოცხით შემბილწველს ვინ მფარველობს, ქცეულს ენადა? - გვიტხვლობთ ჩვენ და გვიპასუხოს გვინდა სენატმა!

27-ის მოლოდინი

შიშშილმა და ყოფნამ შიშში გაგვაცვალა სიქაც, ღვინოც და დიდია 27-ში



რას ვერჩოდით?

მიხოს წასვლის მოლოდინი. ვერ უშველა დაუდულარს საარჩევნო ღვინობისთვის და ვის რატომ რად უღირდა, ვერ გავიგეთ, მიდის ისე.

პრეზიდენტის სასახლეში უკანასკნელ წუთებს ათევეს და არჩევნებს თავის დღეში ველარ მიახუთშაბათებს.

თითოთ წვინტლის მწმენდავ „რაინდს“, არა მხოლოდ მისი ცოცხი, რადგან მიდის, მისდევს მაინც უფუნქციო ცხვირსახოცი!

რატომ გვცვივა, რატომ გვშია?

იმ დროშიც და ამ დროშიც, იმ დროშიც და ამ დროშიცაა თუ ხსნა მართლა ნატოშია, რატომ გვცვივა, რატომ გვშია?

ავღანეთში, სადაც სპარსელთა ინტერესებს მეფე გიორგი მე-თერთმეტე შეენიარა, სამი სა-უკუნის შემდეგ „სხვათა ომში“ უკვე დაგვეღუპა 29 საღსალა-მათი ახალგაზრდა და ძალზე ბევრი საშუალოდ დახეიბრდა. როდემდე, ჩემო ტანჯულო სამ-შობლოვ, როდემდე?

გვამხეცებდნენ, გვააფთრებდნენ, ვამპირი და მანიაკი და სხვის ომში დაგვათრევდნენ სპარსი, რუსი და იანკი. რისხვას უკვე ველარ ასცდა უბრალო და ბრალეული, თანაც გაცვდა, ხმლებიც გაცვდა, უღვთო ომში გაღვთი. და განკითხვად დადგა ცოდვის, ყველა ლიქნი და ლენჩობა: ავღანელ ხალხს რას ვერჩოდით, როცა თვითონ არ გვერჩოდით? ალექსანდრე შენგელია

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაქონი და ვახუშტი



ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსავლად ლარის დეფლაცია ითხოვით

- იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციიდან გამოვიდეს, აუცილებელია, მოხდეს ლარის მცირე დოზით დეგრადაცია, ინფლაციის ზრდა, სხვა შემთხვევაში 2 წელიწადში საქართველოს ეკონომიკაში ძალიან მძიმე პროცესები დაიწყება, - აცხადებს ექსპერტი საბანკო-საფინანსო საკითხებში ლია ელიაძე და დასძენს, რომ პროცესების უკეთესობისკენ შეტრიალება შესაძლებელია, თუ ეროვნული ბანკი ქმედით ნაბიჯებს გადადგამს. არადა, ეროვნული ბანკი ეკონომიკას ფულს იმის გამო არ აძლევს, რომ სავალუტო კურსს არ გაექცეს და ამ სავალუტო კურსს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას აყოლებს.

„რაზონანო“

„პრემიერ-მინისტრმა ხალხის იმადი ვერ გაამართლა“

- ამბობს ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბალათურია, - მისი განცხადება წასვლის შესახებ, არის სრულიად უპასუხისმგებლო და აქვე უნდა ითქვას, პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების არცოდნიდან გამომდინარე. როცა პრემიერ-მინისტრი, სულ რამდენიმე თვის მოსული, აკეთებს განცხადებას, რომ 7 თვის მერე ის გადადგება, ეს მინიმუმ ქვეყანაში ინვესტორების კრიზისს, ისიც უკეთეს შემთხვევაში. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ამ 7 თვის განმავლობაში არც ერთი ახალი ფაბრიკა-ქარხანა, არც ერთი ახალი სამუშაო ადგილი ქვეყანაში აღარ შეიქმნება. იმიტომ, რომ ბიზნესი ისედაც დაშინებულია სააკაშვილის რეჟიმისგან, არის ძალიან ფრთხილი და ელოდება, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი შემოდგომაზე გადადგება, რბილად რომ ეთქვას, არასტაბილურ გარემოს და, აქედან გამომდინარე, ისინი არცერთ თეთრს არ ჩადებენ საქართველოს ეკონომიკაში... ერთი სიტყვით, ვერ ამართლებს პრემიერ-მინისტრი.

„ახალი თაობა“

რელიგიური გრძობების საჯაროდ შეურაცხყოფა დასჯადი გახდება?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი“ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. საქმე ეხება სისხლის სამართლის კოდექსში შესატან დამატებებს, რომლის შემდეგაც, რელიგიური გრძობების საჯაროდ შეურაცხყოფა დასჯადი ქმედება გახდება. ამას ადასტურებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე და განმარტავს, რომ კანონპროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლში უნდა შევიდეს დამატებები და რელიგიური გრძობების საჯაროდ შეურაცხყოფა უნდა გახდეს დასჯადი. „ჩვენს ინიციატივას ზურგს უმაგრებს ევროპული გამოცდილება. ეს არის ავსტრია, დანია, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, თურქეთი, ისლანდია... ახლახან რუსეთში მიიღეს ეს კანონი. ეს ქმედებები აკრძალულია და ისჯება ზოგან ფულადი ჯარიმით, ზოგან - თავისუფლების აღკვეთით“, - ამბობს ზვიად ტომარაძე.

„ალია“

ჩვენი პარაბაიანი

თუ კუჭის მოქმედება გვიბეჭუნა

უპანასკნელ ხანებში კუჭის შეკრულობამ გამანამა. რეგულარულად ვჭამ შავ ქლიავს, ჭარხალს - არ მშველს. როგორ მოვიქცე? როგორ მოვიწესრიგო კუჭის მოქმედება?

ლ.არბუშოვა, პერმი გვიპასუხებს ექიმი-გასტროენტეროლოგი ნიკოლაი ფედეორენკო.

- თუ კუჭის შეკრულობა თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავი გახდა, აუცილებლად უნდა მიმართოთ პროქტოლოგს ან გასტროენტეროლოგს, ვინაიდან ასეთი სიმპტომები შეიძლება სახიფათო დაავადებებზე (მათ შორის ნაწლავების სიმსივნეებზე) მეტყველებდნენ.

მაგრამ მაინც კუჭის მოქმედების დაყოვნებაში ჩვეულებრივად დამნაშავე სტრესები, ჰიპოდინამია და არასწორი რაციონია - შემთხვევითი როდია, რომ კუჭის შეკრულობას ექიმები „ცივილიზაციის დაავადებას“ უწოდებენ. იმ ადამიანების მენიუში, ვისაც ეს პრობლემა აწუხებს, უხვადაა რაფინირებული და ნაწლავების მუშაობის გამაუარესებელი პროდუქტები (ბრინჯი, თეთრი პური, მაგარი ჩაი, კაკაო, ყავა, კარტოფილი, რძე), სამაგიეროდ ცოტაა მცენარეული ბოჭკოები და სითხე. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, გირჩევთ გაზარდოთ ფიზიკური დატვირთვა, ნაკლებად ინერვიულოთ, ეცადეთ დროულად დიეტალოთ კუჭ-ნაწლავი (არავითარ შემთხვევაში არ მოითმინოთ). აგრეთვე, გამოიყენოთ მეტი მცენარეული უჯრედისი (ბოსტნეული, ხილი, ქაბო) და წყალი (დღეში არანაკლებ 2 ლიტრისა).

კაბრი



ცინცხალი ანეკდოტები

ბობო თავის დაქალთან წუნუნებს: - საოცრად უიღბლო ვარ: საკმარისია გავიცნო კარგი ადამიანი და ირკვევა, რომ ან უკვე ის არის ცოლიანი, ანაც უკვე მე ვარ გათხოვილი.

ცოლი ცხრა თვის ფენმძიმეა, ყოველ დილით ოფელში გაღვრილს ეღვიძება და ქმარს ეუბნება:

- ძვირფასო, დამესიზმრა, თითქოს ორთავიანი ზანგი შეგვეძინა.

- ნუ წერვიულობ, დაწვინარდი, ძვირფასო, - ამშვიდებს ქმარი.



დადგა მშობიარობის დღეც. ქმარი მიიბრუნს ექთანთან და კითხულობს:

- ზანგი დაიბადა?
- კი, ზანგი დაიბადა.
- ორთავიანი?
- არა, ერთთავიანი.
- მაღლობა ღმერთს...

- ძალიშვილო, რამდენი წლის ხარ?
- ცხრამეტი წლისა და სამოცდათორმეტი თვის.

მართი გოგო დაუსრულებლად ელოდა თეთრ ცხენზე ამხედრებულ თავის პრინცს, მაგრამ ბოლოს მოჭენდა ფოსტალიონი, რომელმაც მას პენსია მოუტანა.

Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact info, ISSN, and subscription rates.